ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი თემაზე:

„რელიგიის თავისუფლების თანამედროვე სტანდარტი“

ავტორი: თათია ხვიბლიანი

ხელმძღვანელი: ნანა ჭიღლაძე

პროფესორი, სამართლის დოქტორი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

2019

სარჩევი

შესავალი 3

I. რელიგიის თავისუფლება, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე–16 მუხლით გარანტირებული უფლება; 5

1.1. რელიგიის თავისუფლების არსი 6

1.1.1 სუბიექტი 7

1.1.2. შინაგანი და გარეგანი განზომილებანი 8

1.1.3. რელიგიისა და რწმენის გაცხადების თავისუფლება 9

1.2 უფლებათა დაცულობა და სახელმწიფოს ვალდებულებები; 10

1.3. დაცული სფეროში ჩარევა 16

1.4. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები 18

II. რელიგიის თავისუფლება და სახელმწიფო 21

2.1. სახელმწიფოს ძირითადი როლი და მის მიერ დაწესებული სტანდარტები რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფისთვის 21

2.2. რელიგიის თავისუფლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში 23

2.3. რელიგიის თავისუფლების დაცვის ფარგლები სამხედრო სამსახურში 26

2.4. რელიგიის თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა ჯანდაცვის სფეროში 28

2.5. რელიგიის თავისუფლება შრომით ურთიერთობებში 29

2.6. რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფა სისხლის სამართალში 29

2.7. რელიგის თავისუფლება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 30

III. რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები 32

3.1. რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით 33

3.2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 35

3.3. სხვა საერთაშორისო აქტები რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით 36

IV. რელიგიური ნიშნით განხორციელებული სამართალდარღვევები 38

4.1. რელიგიური სიძულვილითა და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები 38

4.2. სახელმწიფოთა როლი რელიგიური ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა პრევენციისას 40

დასკვნა 42

გამოყენებული ლიტერატურა 45

შესავალი

ადამიანის უფლებები საერთაშორისო ნორმებია, რომლებიც მოიცავენ ყველა სახელმწიფოს და დღეს მცხოვრებ ყველა ადამიანს. ისინი განმტკიცებულია არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტით, ეროვნული კანონმდებლობით, რაც ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას თითოეული ინდივიდისთვის და ზოგადად, ყოველი სახელმწიფოსთვის. ის ფაქტი, თუ როგორ, რა დოზითაა უზრუნველყოფილი უფლებების ქმედითობა, მათი რეალიზება და სარგებლობა სახელმწიფოში, პირდაპირ კავშირშია ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხთან.

რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ასევე წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ, ღირებულ უფლებას, რომელზედაც დგას სამართლებრივი, დემოკრატიული და პლურალისტური სახელმწიფოს იდეა. აღნიშნულ უფლებას უდიდესი წვლილი შეაქვს რელიგიური და საერთოდ, დემოკრატიული პლურალიზმის დამკვიდრებაში, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საზოგადოებრივი მშვიდობა და ჰარმონია. გასული საუკუნეების განმავლობაში ქსენოფობიამ და შეუწყნარებლობამ, გარკვეულმა იდეოლოგიურმა წნეხმა და სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი დოქტრინების ადამიანებზე იძულებითმა თავსმოხვევამ, დიდი ზიანი მოუტანა არაერთ სახელმწიფოს. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო საზოგადოებამ კურსი აიღო ადამიანის უფლებათა დაცვის, ტოლერანტიზმის დამკვიდრებისა და ინტერკულტურული დიალოგის გაღრმავებისკენ. დღესდღეობით, იმ ფონზე, რომ უფრო და უფრო იზრდება დაპირისპირებები რელიგიური ნიშნის მოტივით, რომ ხშირად სწორედ რელიგია ხდება კონფლიქტების მიზეზი სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის და რომ რელიგიური თემები საფრთხესთანაა დაკავშირებული, სწორედ ამიტომ არის ინტერესის ობიექტი რელიგიის თავისუფლების ფარგლების განსაზღვრა და მისი ქმედითობის უზრუნველყოფა ყოველი სახელმწიფოს პრიორიტეტი ვალდებულება.

ანგარიშვალდებულება ადამიანის უფლებების დარღვევისთვის და მათი პატივისცემა გლობალური პრობლემაა. რელიგია უმეტეს შემთხვევაში ასოცირდება ძალადობრივ კონფლიქტებთან, რაც უარყოფითად აისახება სახელმწიფოს დემოკრატიულ, შემწყნარებლურ პოლიტიკაზე. რელიგიის განსაკუთრებული როლის გამო, ჰუმანური ღირებულებების დამკვიდრების პროცესში, თითოეულ ქვეყანას ეკისრება ვალდებულება ამ თავისუფლებათა დაცულობის სტრანდარტი შეუსაბამოს იმ საყოველთაო ნორმა-პრინციპებს, რომლებიც განმტკიცებულია არაერთი საყოველთაო, საერთაშორისო აქტით, მაგალითად, როგორებიცაა: „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია“, „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ და სხვა.

რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება ქვაკუთხედია დემოკრატიული სამყაროსი, საწინდარია ყოველ საზოგადოებაში სამართლიანობისა და მშვიდობისა. მათი დაცვისთვის კი მნიშვენელოვანი პირობაა, როგორც სახელმწიფოს მიერ ქმედითი პოლიტიკური დემოკრატიის განხორციელება, ისე

თითოეული ინდივიდის მიერ ადამიანის უფლებების გაცნობიერება და მათი პატივისცემა.

რელიგიის უფლებასთან დაკავშირებით, არაერთი პრობლემა იკვეთება ქართულ რეალობაშიც. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩატარდა მრავალი კვლევა, მომზადდა მნიშვნელოვანი ანგარიშები იმის წარმოსადგენად, თუ როგორ ხდება ჩვენს ქყვეყანაში ამ უფლების განხორციელება, სარგებლობა, თუ როგორია ამ თავისუფლებათა ფარგლების მოცულობა და შესაბამისობაშია თუ არა ამ უფლების დაცულობის შიდა კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები საერთაშორისო ნორმებთან. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანიც სწორედ ისაა, რომ დავადგინოთ როგორ წესრიდგება რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები ეროვნული კანონმდებლობით, როგორია სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები აღნიშნული უფლების განხორციელებისას და როდის აქვს მას ამ უფლებაში მართლზომიერად ჩარევის უფლებამოსილება, ასევე მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი რელიგიური პლურალისტური საზოგადოების ფონზე, როგორ ხდება სხვავასხვა რწმენის მიმდევარი ჯგუფების, ორგანიზაციების მიერ ამ უფლებით სარგებლობა. მნიშვნელოვანია ასევე ყურადღების გამახვილება იმ საერთაშორისო დოკუმენტებზე, რომლებითაც დაცულია რელიგიის თავისუფლება და იმის გარკვევა, საქართველოში მოქმედი ნორმები შეესაბამება თუ არა მათ. ყოველივე ამისათვის, ნაშრომის მომზადებისთვის შევისწავლე იურიდიული ლიტერატურა, აკადემიური სტატიები, შესაბამისი კვლევები და ანგარიშები, სხვადასხვა ორგანიზაციების დასკვნები, რეკომენდაციები და სასამართლო პრაქტიკა.

რაც შეეხება, კვლევის მეთოდოლოგიას, ნაშრომის მიზნებისთვის, გამოყენებულ იქნა კვლევის ნორმატიული, სისტემური, შედარებითი და ლოგიკური მეთოდოლოგია. დასამუშავებელი ინფორმაციის შეგროვება მოხდა სხვადასხვა წყაროებიდან, როგორებიცაა: ინტერნეტ რესურსი, ბიბლიოთეკა და სასამართლოები.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, იგი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. თავები დაყოფილია ქვესაკითხებად. პირველ თავში საუბარია რელიგიის თავისუფლებაზე, როგორც საქართველოს კონსტიტუციით დაცულ მუხლზე, ხოლო ქვეთავებში გაშლილია ვრცლად აღნიშნული.

მეორე თავში საუბარია სახელმწიფოს როლზე რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფისას, რაც შეეხება მესამე თავს, იგი ეხება იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც არეგულირებენ აღნიშნული უფლების რეალიზებას. მეოთხე თავში კი მოცემულია იმ სამართალდარღვევების შესახებ, რომლებიც ხორციელდება რელიგიური ნიშნით და სახელმწიფოს როლზე, ამ კონფლიქტური სიუტუაციების გადაჭრის პროცესში.

I. რელიგიის თავისუფლება, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე–16 მუხლით გარანტირებული უფლება;

რელიგიის თავისუფლების შესახებ მთავარ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია. კონსტუტუციის მე-16 მუხლის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. მე-16 მუხლით დაცული სიკეთეები განმტკიცებულია ასევე კონსტუტუციის სხვა მუხლებით, კერძოდ, მე-11 მუხლით, რომელიც ადამიანის ნებისმიერი, მათ შორის რელიგიური კუთვნილების მიხედვით დისკრიმინაციას კრძალავს, ასევე 23-ე მუხლი, რომელიც დაუშვებლად აცხადებს ისეთი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური გაერთიანების შექმანსა და მასში მონაწილეობას, რომლის მიზანიც რელიგიური შუღლის გაღვივებაა, ასევე მნიშვნელოვანია კონსტიტუციის მე-8 მუხლი, რომლის მიხედვითაც, „სახელმწიფო აღიარებს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას“, რაც იმის დადასტურებაა, რომ რწმენისა და რელიგიის თავისუფლება ერთ-ერთი ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპია, რომელსაც ქართული სახელმწიფო ემყარება.[1] საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში არსებულ უფლებათა სისტემაში მე-16 მუხლით დაცულ სიკეთეებს განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა აქვს, ისინი იმ კატეგორიის უფლებათა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომელთა შეზღუდვა დაუშვებელია საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს. აღნიშნული მუხლით დაცული უფლებების შეზღუდვის ერთადერთ მართლზომიერ გარემოებას წარმოადგენს სხვათა უფლებების დაცვა, ისიც თანაზომიერების და პროპორციულობის პრინციპის სრული დაცვის საფუძველზე. რელიგია თუ რწმენა, იმ ადამიანისთვის, რომელიც რომელიმე მათგანს აღიარებს, სიცოცხლეზე მისი წარმოდგენის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ რელიგიისა თუ რწმენის თავისუფლება სრულად უნდა იყოს დაცული და გარანტირებული. ყოველი სახელმწიფოს მიზანი, როდესაც საუბარია დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოზე, უნდა იყოს უფლებადაცული ადამიანი და იმის აღიარება, რომ თითოეული ინდივიდის ყველა უფლება უნივერსალური, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებულია.[2]

აქვე მნიშვნელოვანია ყურადრება გავამახვილოთ იმ ცვლილებაზე, რომელიც განხორციელდა საქართველოს კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით. როდესაც სახელმწიფოში მიმდინარეობს სამართლებრივი და ინსტიტუციური რეფორმები, არსებითია ისინი ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს, რომლებიც ასახულია ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპულ დოკუმენტებში. დღევანდელი რედაქციით კონსტიტუცია უფრო მოქნილი და დახვეწილია. რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით, ადრე მოქმედი რედაქციისგან განსხვავევით, კონსტიტუციის მე-16 მუხლიდან

[1] „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” გამომცემლობა შპს „პეტიტი”, თბილისი, 2013, გვ156.
[2] „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო“, ვაშაყმაძე ზ., თბილისი 2015.

ამოღებულია ჩანაწერები აზრის, სიტყვის შესახებ, და ისინი დაცულია კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-17 მუხლით. ცვლილება მიზნად ისახავს ნორმატიული ტავტოლოგიის თავიდან არიდებას, რასაც მნიშვნელოვანი სამართლებრივ-პრაქტიკული დატვირთვაც აქვს. [3]

1.1. რელიგიის თავისუფლების არსი

უფლების სწორი, სრულყოფილი რეალიზაციისა და ეფექტური დაცვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრას. კონსტიტუციის მე-16 მუხლი იცავს ადამიანის უფლებას, სწამდეს ღმერთი, აირჩიოს და აღიაროს ნებისმიერი რელიგია, რწმენა თუ მსოფლმხედველობრივი მრწამსი, იცხოვროს და იმოქმედოს მათ შესაბამისად. იგი მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, ასევე უფლებას, როგორც ინდივიდულაურად, ისე სხვებთან ერთად, განკერძოებით ან საქვეყნოდ, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა ქადაგებით, სწავლებით, აღმსარებლობით, ამა თუ იმ წესებითა და რიტუალების შესრულებით. მოცემული მუხლი ასევე გულისხმობს პირის ნეგატიურ თავისუფლებასაც - იყოს ათეისტი და არ გახდეს რომელიმე რელიგიის მიმდევარი, არ აღიაროს არცერთი რწმენა. სახელმწიფომ არ უნდა სცადოს რელიგიის ან რწმენის განსაზღვრა, რადგან ეს ცნებები ასევე იცავენ „ათეისტებს, აგნოსტიკოსებს, სკეპტიკოსებსა და ამ საკითხისადმი გულგრილად განწყობილ პირებს“, და შესაბამისად, იცავენ ყველას - სწამს ან არ სწამს ღმერთი და მისდევს თუ არა აღმსარებლობას. რელიგია ან რწმენა ძირითადად პირადული და სუბიექტურია და აუცილებელი არ არის მათი დაკავშირება ისეთ რწმენასთან, რომელიც მოწესრიგებულია რელიგიური ინსტიტუციებით. ამ დაცვით ასევე სარგებლობენ ახალი რელიგიებიც, მაგალითად როგორიცაა სიენტოლოგია (მოცემული რელიგიის მიზანია, ადამიანი გაათავისუფლოს მტკივნეული ემოციური და ფიზიკური განცდებისგან და მწუხარება და აპათია ენთუზიაზმითა და მხიარულებით შეუცვალოს).[4]

„აღმსარებლობა“ - გულისხმობს რომელიმე რელიგიის აღმსარებლობას, მის მიმდევრობას, მიუხედავად იმისა, სახეზეა ტრადიციული რელიგიები (როგორიცაა: ქრისტიანობა, ბუდიზმი, ისლამი და სხვა) თუ სხვა შედარებით ახალი რელიგიური ორგანიზაციები (მაგ. იაღოვას მოწმეები). თუ სახელმწიფოს მიერ ესა თუ ის რწმენა ოფიციალურად არის აღიარებული „რელიგიად“, იგი ავტომატურად მოიპოვებს დაცვას ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზეც.

„რწმენა“ - გულისხმობს ადამიანის რწმენას რაიმეს ჭეშმარიტებაში ან მცდარობაში, რომელიც შესაბამისი არგუმენტებით არის გამყარებული. იგი სუბიექტურია თავისი არსით, თუმცა ყალიბდება არა მარტო შესაბამისი ცოდნის, არამედ სხვა არგუმენტების საფუძველზე. მასში მოიაზრება როგორც რელიგიური,

---

[3] „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, N 07-3/52/9, ინიცირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი.

[4] „სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ“, ევროპის საბჭო, 2013, გვ.117.

ისე არარელიგიური რწმენა. „რწმენა“ ასევე მოიცავს ფილოსოფიური შეხედულებების ფართო წრეს, თუმცა ყველანაირი რწმენა და შეხედულება დაცული არაა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, იმისათვის რომ ამა თუ იმ რწმენამ ევროპული კონვენციის საფუძველზე დაცვა მოიპოვოს, იგი უნდა აღწევდეს დამაჯერებლობის, სერიოზულობის, სიმყარისა და მნიშვნელობის განსაზღვრულ ხარისხს. რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება მოიცავს ამ თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად, როგორც განკერძოებით, ისე საჯაროდ. რწმენის თავისუფლება თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, ამაზე ხაზს უსვამს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც და ამბობს, რომ რწმენის თავისუფლება ადამიანის პიროვნულ ავტონომიას უკავშირდება, ხოლო მისი დაცვა საზოგადოების დემოკრატიულობის ხარისხის მაჩვენებლის განმაპირობებელია.[5] რწმენის თავისუფლება ასევე ინდიკატორია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობის, განვითარებისა და თვითრეალიზაციისა. ის ფაქტი, თუ როგორაა დაცული აღნიშნული უფლება, სარკეა სახელმწიფოს დემოკრატიულობის დონისა, რადგან პლურალიზმი ზოგადად და მათ შორის რელიგიური, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოებისთვის.

სინდისის თავისუფლება - ადამიანის უფლებაა, გადაწყვეტილებები მიიღოს, იცხოვროს და იმოქმედოს თავისი სინდისის შესაბამისად. იგი პირის უფლებაა, ქონდეს თავისი კრედო, მიიღოს გადაწყვეტილება, რომელსაც სინდისი კარნახობს და გააკეთოს ის, რასაც კონკრეტულ ვითარებაში მიიჩნევს სავალდებულოდ. სინდისის თავისუფლება ზოგჯერ გამოიყენება, როგორც „რელიგიის თავისუფლების“ ეკვივალენტური ტერმინი.

1.1.1 სუბიექტი

კონსტიტუციის მე-16 მუხლი იცავს „ყოველი ადამიანის“ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებას. თუმცა ყოველივე უნდა განვამრტოთ ფართოდ და სუბიექტთა წრეში ვიგულისხმოთ, როგორც ფიზიკური პირები, ასევე იურიდიულიც. მაგალითად, ეკლესიებსა და ასოციაციებს, რომლებსაც გააჩნიათ რელიგიური თუ ფილოსოფიური მიზნები, შეუძლიათ გამოიყენონ კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი, როგორც საკუთარი თავის - იურიდიული პირის უფლებების,ისე მათი წევრების ინდივიდუალური უფლებების დასაცავად.

[5] „ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაკტიკა“, კოპალეიშვილი მ., თბილისი, 2013.

1.1.2. შინაგანი და გარეგანი განზომილებანი

კონსტიტუციის მე-16 მუხლით გათვალისწინებული უფლებები მოიცავს ორ მნიშვნელოვან კრიტერიუმს:

ა) შინაგან განზომილებას (forum internum), რაც გულისხმობს შინაგან თავისუფლებას, რომელიც ხორციელდება თითოეული ინდივიდის შინაგან სამყაროში, მის გულსა და გონებაში. შესაბამისად, იგი სახელმწიფო იურისდიქციის ფარგლებს მიღმაა და არ უნდა იქნეს შეზღუდული მისი ჩარევით. სინდისის თავისუფლება მისი არსიდან გამომდინარე, მთლიანად ხვდება შინაგანი განზომილების სფეროში, ხოლო რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება - ნაწილობრივ. forum internum ირღვევა, მაგალითად, მაშინ, როდესაც ფიზიკური მუქარის ან ამა თუ იმ სანქციის გამოყენებით სახელმწიფო აიძულებს ინდივიდს, უარყოს ესა თუ ის ფილოსოფიური მრწამსი, სინდისის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, თავისი რელიგია ან სხვაგვარი რწმენა, ანდა გახდეს რაიმე სხვა რელიგიის ან რწმენის მიმდევარი. სახელმწიფოს ასევე არა აქვს უფლება, უკარნახოს ადამიანს, თუ რომელი რწმენა გააჩნდეს, ანდა მოსთხოვოს მას, გაამჟღავნოს მისი რელიგიური კუთვნილება. მაგალითად, როდესაც ამა თუ იმ პროცედურის დროს (კერძოდ, სასამართლოში ჩვენების მიცემისას, მოსამართლის ან პარლამენტის წევრის თანამდებობის დაკავებისას) ადამიანს, მისი რელიგიისა თუ რწმენის მიუხედავად, მოეთხოვება ბიბლიაზე, ყურანზე, ან სხვა პრინციპულ რელიგიურ ტექსტებზე დაფიცება, ეს რელიგიის თავისუფლების დარღვევაა. აღნიშნული, ფაქტობრივად, შესაბამისი რელიგიისადმი კუთვნილების დადასტურების მოთხოვნაა, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის თავისუფლებას, არ იყოს ამა თუ იმ რელიგიის მიმდევარი, ან არ გაამჟღავნოს იგი საჯაროდ. შინაგან თავისუფლებაში ჩარევაა ასევე სახეზე, თუ ადამიანს მოეთხოვება სამხედრო სამსახური, მაშინ, როდესაც იგი ეწინააღმდეგება მის რწმენას.

ბ) გარეგანი განზომილება (forum externum) - ეს არის გარეგანი თავისუფლების სფერო და მოიცავს აღმსარებლობისა და რწმენის გამჟღავნებასთან, მათ გამოვლინებასთან დაკავშირებულ თავისუფლებას. ეს არის ადამიანის თავისუფლება, ინდივიდუალურად თუ სხვებთან ერთად, განკერძოებით ან საქვეყნოდ, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების შესრულებით. ამ დროს, სახელმწიფოს შეუძლია დააწესოს გარკვეული შეზღუდვები, თუ რელიგიის ან რწმენის გაცხადების ესა თუ ის ფორმა ხელყოფს სხვათა უფლებებს.[6]

[6] „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი" გამომცემლობა შპს „პეტიტი", თბილისი, 2013, გოცირიძე ე.,გვ.161.

1.1.3. რელიგიისა და რწმენის გაცხადების თავისუფლება

რელიგიისა და რწმენის გაცხადების თავისუფლება ყველაზე ფუნდამენტური ასპექტია კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული უფლებებისა. სწორედ ამიტომ შესაძლებელია იგი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე განვამრტოთ, რომელიც აპრიორი ითვალისწინებს მას და აღწერს, როგორც „ ადამიანის უფლებას, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების შესრულებით“.[7] რელიგიისა თუ რწმენის გაცხადების თავისუფლება მოიცავს მოქმედებათა ფართო სპექტრს. იგი გამოიხატება ღვთისმსახურების განხორციელებით, წირვა-ლოცვაში მონაწილეობით, ქადაგებითა და რელიგიური ცოდნის გავრცელებით (მათ შორის საკუთარ რელიგიაზე სხვათა მოქცევის მიზნით), რელიგიური წეს-ჩვეულებების, რიტუალებისა და სხვა მოვალეობების შესრულებით (მარხვის დაცვა, ზიარება, აღსარება), რელიგიურ შეხვედრებში მონაწილეობის მიღებით და რელიგიური დღესასწაულების აღვნიშვნით, რელიგიური კუთვნილების დამადასტურებელი სამოსის ან სიმბოლიკის ტარებით, ან იმ სპეციფიკური ენის გამოყენებით, რომელზეც ესა თუ ის ჯგუფი ჩვეულებრივ ლაპარაკობს.[8] რელიგიისა და რწმენის გაცხადების თავისუფლება დაცულია იმის მიუხედავად ხორციელდება იგი განკერძოებით - ინდივიდუალურად თუ სხვებთან ერთად, კოლექტიურად. რელიგიის თავისუფლება მოიცავს რელიგიურ გაერთიანებათა უფლებებსაც. რელიგიურ გაერთიანებებში იგულისხმება იურიდიული პირები, რომელთა მიზანია თავიანთ წევრთა რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი რწმენის ქადაგება, მხარდაჭერა ან გავრცელება. იგი ასევე გულისხმობს ამ გაერთიანებათა შიდაორგანიზაციულ საქმიანობასაც. რელიგიური ორგანიზაცია (გაერთიანება), საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არის „ ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად და ასეთად რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით“.[9] ასევე მნიშვნელოვანია ორგანიზაციის რელიგიური საქმიანობის შინაარსის განსაზღვრა. რელიგიურ საქმიანობასთანაა გათანაბრებული იმ რელიგიური ორგანიზაციების საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ საღვთისმსახურო ლიტერატურას, ან აწარმოებენ რელიგიური დანიშნულების საგნებს, ან ახორციელებენ მათ რეალიზაციას. რელიგიისა და რწმენის გაცხადების თავისუფლება მოიცავს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოების დაცვას. სახელმწიფოს არ აქვს უფლება, დაავალდებულოს მოძღვარი გასცეს აღსარების დროს გამჟღავნებული ინფორმაცია[10] ან მოითხოვოს ეკლესიისგან საეკლესიო საიდუმლოების მისთვის გადაცემა. რელიგიისა და რწმენის გაცხადების თავისუფლება ასევე მოიცავს მათ შესახებ შეხედულებების გამოთქმასაც, თუმცა იგი დაცულია გამოხატვის

[7] იხ. სქოლიო N5.

[8] რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, ვაშაყმაძე ზ., თბილისი 2015.

[9] საქართველოს საგადასახადო კოდექსის 33-ე მუხლი.

[10] აღნიშნული ასევე დაცულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

თავისუფლებით,ამიტომ მათი გაუმართლებელი შეზღუდვისას გამოყენებული უნდა იქნას კონსტიტუციის მე-17 მუხლი, რომელიც იცავს გამოხატვის თავისუფლებას.[11] ამასთან მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან განვასხვაოთ შეხედულებების გამოთქმა რწმენისა და რელიგიის საკითხებზე რელიგიური ქადაგებისგან, რადგან უკანასკნელი ექცევა კონსტიტუციის მე-16 მუხლის ფარგლებში. ყოველივე ამისთვის კი საჭიროა სათანადო თეოლოგიური ცოდნა და იმის შეფასება, იყო თუ არა შესაბამისი ქმედების განხორციელება „რელიგიური ვალდებულება", თუმცა ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკუთრივ სუბიექტის მოტივაციას და დამოკიდებულებას. მთავარია, „გაცხადება" წარმოადგენდეს სუბიექტის ამა თუ იმ რწმენის გამოხატულებას და უშუალოდ იყოს ამ რწმენასთან დაკავშირებული. არსებობს პრეზუმცია იმისა, რომ აღმსარებლობით, ქადაგებით, წესების დაცვითა და რიტუალების შესრულებით ნებისმიერი bona fide გაცხადება რელიგიისა დაცულია კონვენციით. რწმენის გაცხადების თავისუფლება ასევე გულისხმობს ადამიანის უფლებას დაიკრძალოს მისი რელიგიური რწმენის შესაბამისად, იგი ასევე მოიცავს ინდივიდის უფლებას, თავისი რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებების მიხედვით გადაწყვიტოს მის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები.[12] თუმცა აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ რწმენის გაცხადების თავისუფლება არაა აბსოლუტური ხასიათის და არ იცავს რწმენის გაცხადების ნებისმიერ გამოვლინებას. აუცილებელია რწმენა და მისი გაცხადების ფორმები წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს ადამიანის ღირსებისა და ხელშეუხებლობის ფუნდამენტურ პრინციპებთან.

1.2 უფლებათა დაცულობა და სახელმწიფოს ვალდებულებები;

იმისთვის რომ კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული უფლებები იყოს ქმედითი, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. აღნიშულის განსახორციელებლად სახელმწიფოს ეკისრება, როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ვალდებულებები. სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ თავი შეიკავოს კონსტიტუციის ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), არამედ მან ასევე უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა, მათ შორის მესამე მხარის (ფიზიკური თუ იურიდიული პირები) მიერ (პოზიტიური ვალდებულება). თუ მოცემული მუხლით დაცული ინტერესები დაირღვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, სახელმწიფო მოვალეა უზრუნველყოს დარღვეული უფლებების ეფექტიანი დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დგება თავად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც ვერ შეძლო კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვა.

---

[11] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17.

[12] „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი" გამომცემლობა შპს „პეტიტი", თბილისი, 2013, გვ.163.

დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს ადამიანის, როგორც უმთავრესი ფასეულობის არა მხოლოდ აღიარება, არამედ რეალური უზრუნველყოფა, შექმნას გარანტიები ძირითადი უფლებების სრულყოფილად და ეფექტურად სარგებლობისთვის.[13] როდესაც ვსაუბრობთ კონსტიტუციის მე-16 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დაცულობაზე, აქ იგულისხმება სახელმწიფოს ვალდებულება არ ჩაერიოს აღნიშნულ უფლებებში თვითნებურად, გაუმართლებლად და უზრუნველყოს მათი მშვიდობიანი განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის თავისუფლებას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, როგორც დემოკრატიული საზოგადოებისთვის, ისე თითოეული ადამიანისათვის ავტონომიისა და თვითრეალიზაციისთვის, ეს არ გამორიცხავს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას. კონკრეტულ შემთხვევებში სახელმწიფო ვალდებულიც კია ჩაერიოს რწმენის თავისუფლებაში, რათა უზრუნველყოს სხვათა ავტონომიის პატივისცემა, ცალკეული პირების თუ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესების დაცვა. სახელმწიფოს მხრიდან უფლებაში ჩარევის ფაქტი, რომ არ შეფასდეს თვითნებურად, არამართლზომიერად, აუცილებელია შემდეგი პირობების დაკმაყოფილება:

ა. აუცილებელია ეკლესია იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან. რომელიმე რელიგიის სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება შეუთავსებელია რესპუბლიკურ მმართველობასთან, ხელისუფლების განაწილების, თანასწორუფლებიანობისა და პლურალიზმის პრინციპებთან, ისევე, როგორც საკუთრივ რელიგიურ გაერთიანებათა უფლებასთან, სახელმწიფოსაგან ჩარევის გარეშე განსაზღვრონ თავიანთი საქმიანობის ნიშნები.[14] მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია დაცული იყოს სეკულარიზმის იდეა, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული ტიპისა და ინტენსივობის ინსტიტუციურ გამიჯვნას სახელმწიფოსა და რელიგიას შორის, და საერო საჯარო სივრცის უზრუნველყოფას რელიგიის პრივატიზების გზით.[15] წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ შეძლებს იყოს ნეიტრალური და ობიექტური ქვეყანაში არსებულ განსხვავებულ რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი მიუთითებს ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების, დამოუკიდებელ სუბიექტებად გამოცხადებისა და მათი შესაბამისი სფეროების გამიჯვნის გარანტიაა და წარმოადგენს კიდეც სეკულარიზმის არსს. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, სხვადასხვა რელიგიასთან, დენომინაციასთან თუ რწმენასთან დაკავშირებით, მარეგულირებელი უფლებამოსილებების განხორციელებისას სახელმწიფო ვალდებულია დარჩეს ნეიტრალური და მიუკერძოებელი. ნეიტრალურობის მოთხოვნა რელიგიურ შემადგენლობასთან

[13] ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, GIZ, 2013.

[14] „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი" გამომცემლობა შპს „პეტიტი", თბილისი, 2013

[15] „რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში", შარვაშიძე ლ., თბილისი, 2014.

დაკავშირებით კანონმდებლობაში გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ რელიგიური მრწამსის ან ამ მრწამსის გამოხატვის გზების შეფასებას. ზოგადად, ნეიტრალურობის მოთხოვნა გულისხმობს იმას, რომ სარეგისტრაციო ნორმები, რომლებითაც მოითხოვება რელიგიური ორგანიზაციის წესდების ან დებულების არსებითი და არა ოფიციალური განხილვა, დაუშვებელია. კლასიკური გაგებით, რელიგიის თავისუფლება მოიცავს კუმულაციურად ორი კრიტერიუმის არსებობას: არც საჯარო ხელისუფლება ერევა ეკლესიის საქმეებში და არც ეკლესია საჯარო ხელისუფლების საქმიანობაში. მოცემული თეზისი განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლით[16], რომელიც საფუძვლად დაედო 2002 წლის ოქტომბერში საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების - კონკორდატის დადებას.

ევროპული კონვენციიდან და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან ნათელია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ყველა რელიგიის მიმართ, ტრადიციული არის თუ არა ის, დააწესონ იდენტური პირობები. აღნიშნული ასევე გამომდინარეობს, ევროპული კონვენციის მე-14 მუხლიდან, რომლის მიხედვითაც თითოეულ წევრ სახელმწიფოს მოეთხოვება, თავის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირისისათვის უზრუნველყონ მოპყრობის თანაბარი პირობები.[17]

ბ. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რელიგიურ ორგანიზაციათა რეალური დამოუკიდებლობა, ავტონომიურობა, მათ შორის, თავიანთი ლიდერის არჩევის საკითხში. როდესაც სახელმწიფოს შემოაქვს ზომები, რომლებიც უპირატესობას დაყოფილი რელიგიური თემის კონკრეტულ წინამძღოლს ან კონკრეტულ ორგანოებს ანიჭებს, ამა თუ იმ თემს ან მის ნაწილს აიძულებს საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ დაემორჩილონ ერთ ხელმძღვანელს, რაც არღვევს რელიგიის თავისუფლებას.

გ. მნიშვნელოვანია სახელმწიფოში არსებულ მოქმედ რელიგიებს ხელისუფლებამ მიანიჭოს ოფიციალური აღიარება და ამ სფეროში ყველა მათგანის მიმართ დაიცვას მიუკერძოებლობა და ნეიტრალიტეტი. წინგადადგმული ნაბიჯია, 2011 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რომლის თანახმადაც ყველა რელიგიურ მიმდინარეობას, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიული კავშირი საქართველოსთან, ანდა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში აღიარებულია რელიგიად, უფლება აქვთ მიიღონ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი.[18] დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებაა, შექმნას ადეკვატური პირობები რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციისას, გახდნენ სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების

[16] საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი.

[17] ვარდოსანიძე მ., რელიგიის თავისუფლების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბილისი, 2006.

[18] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509[1] მუხლი.

სუბიექტი და სრულყოფილად განახორციელონ საქმიანობა თავიანთი რელიგიური მიზნებიდან გამომდინარე (მაგ.შეიძინონ ან იჯარით აიღონ უძრავი ქონება და სხვა).

დ. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მისი იურისდიქციის ქვეშ მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების თანასწორუფლებიანობა და დაიცვას მათ მიმართ ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობა. აღნიშნული პრინციპი სრულად ვერ ხორციელდება ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში და ეს პრობლემა დგას საქართველოშიც. ტრადიციული და უმრავლესობის რელიგიები პრიორიტეტულ მდგომარეობაში არიან სახელმწიფოს მხრიდან, რაც ეწინააღმდეგება მოცემულ პრინციპებს. კანონმდებლობის შემოწმება უნდა მოხდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ რელიგიებს შორის ნებისმიერი განსხვავება ან დომინანტურ პოზიციაში ჩაყენება, ჭეშმარიტად ობიექტური გარემოებებით იყოს გამართლებული, რათა მიკერძოებითი მოპყრობის რისკი მინიმუმამდე შემცირდეს ან სრულად აღმოიფხვრას. კონკრეტული სახელმწიფოს ისტორიაში სხვადასხვა რელიგიის განსაკუთრებული როლის კანონმდებლობაში აღიარება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუკი ეს განსხვავებები არ გამოიყენება დისკრიმინაციის გასამართლებლად. საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი ერთის მხრივ აღიარებს რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას, და ამასთან, ხაზს უსვამს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში. ამ ტიპის მიდგომა საქართველოს აქცევს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოდელში, რომელსაც „წახალისებული ეკლესიის მოდელი ეწოდება“, რაც ნიშნავს იმას, რომ „წახალისებული ეკლესია“ სარგებლობს აღიარებით, მაგრამ ქვეყნის კონსტიტუცია ადგენს, რომ ყველა ჯგუფი თანასწორია.[19] დღესდღეობით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგირების უმნიშვნელოვანესი გამოხატულება და საფუძველია მასსა და სახელმწიფოს შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება, რომლითაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ მიიღო ავტონომიისა და სამართლებრივი და ქონებრივი პრობლემების გადაწყვეტის გარანტიები. თუმცა ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი არასეკულარული და დისკრიმინაციული პოლიტიკის შედეგია, რელიგიის თავისუფლების მხრივ არსებული გამოწვევების სისტემური ხასიათი. რელიგიურ ორგანიზაციებთან სახელმწიფოს პოლიტიკა არსებითად მართლმადიდებელი ეკლესიის ექსკლუზიური პრეფერენცირების მიდგომას ეფუძნება, რომელიც საკანონმდებლო დონეზეა აღიარებული და ინსტიტუციონალიზებულია ყოველდღიურ პოლიტიკაში. ასიმეტრიული სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს მიღმა, არადომინანტური რელიგიური ჯგუფები პრაქტიკაში ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციას და მათი მარგინალიზაციის პრობლემა უფრო კრიტიკულია, ყოველივე ეს კი წინააღმდეგობაში მოდის მე-16 მუხლით დაცულ უფლებასთან და იმ საერთაშორისო პრინციპებთან, როგორიცაა შემწყნარებლობა, ტოლერანტობა, რაც წინაპირობაა დემოკრატიული, პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებისა.

[19] „რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში“, შარვაშიძე ლ., თბილისი, 2014

მოცემულ საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის მიერ 2018 წლის 3 ივლისს მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე : „სსიპ „ საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „ სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ[20]. აღნიშნულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც სახელმწიფო ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღების უფლებას ანიჭებდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას. მოსარჩელეთა აზრით, სადავო ნორმით ხდებოდა სხვა რელიგიური გაერთიანებების დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება და მათ მიმართ კონსტიტუციით განმტკიცებული თანასწორობის უფლების დარღვევა, რადგან სადავო ნორმით მათ ერთმეოდათ უფლება სახელმწიფო ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღებისა. საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მხოლოდ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებდა უფლებას სახელმწიფო ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებით, ცნო არაკონსტიტუციურად თანასწორობის უფლებასთან მიმართებით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ საერთაშორისო სტანდარტს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალდებულია არსებითად თანასწორ პირებს მოეპყრას იდენტურად, დაიცვას ობიექტურობა და ნეიტრალიტეტი.

ე. სახელმწიფოს ვალდებულებაა არ დაუშვას დისკრიმინაცია რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ მათი სამოქალაქოსამართლებრივი თუ სხვა ხასიათის უფლებრივი საკითხების გადაწყვეტისას. რელიგიის თავისუფლების დაცვის ხარისხი ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხის საზომია და გავლენას ახდენს სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და კულტურული ჯგუფების პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობასა და მშვიდობაზე. აღნიშნული პრობლემა აქტუალურია საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენციის“ მიხედვით, მხარეები იღებენ ვალდებულებას შეუქმნან აუცილებელი პირობები მათ, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, თავიანთი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის, მათი თვითმყოფადობის ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციების და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად. ქვეყნები ვალდებულნი არიან მიიღონ შესაბამისი ზომები იმ პირების დასაცავად, რომლებიც

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2018 წლის 3 ივლისი, N811.

შეიძლება დაექვემდებარონ მუქარას ან დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას ან ძალადობას თავიანთი ეთნიკური, რელიგიური კუთვნილების გამო. მათ უნდა აღიარონ, რომ თითოეულ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოამჟღავნოს თავისი რელიგია ან რწმენა, შექმნას რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები და სხვა. დისკრიმინაციის დაუშვებლობა, კანონის წინაშე თანასწორობასა და დისკრიმინაციის გარეშე კანონის მხრიდან თანაბარ დაცვასთან ერთად, წარმოადგენს იმ ძირითად და ზოგად პრინციპს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვასთან. ყოველივეზე მიუთითებს ასევე არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი, მათ შორის „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“[21], „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“[22], „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“[23], „ოსლოს დეკლარაცია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ“ და სხვა. ის ფაქტი, რომ რელიგიისა და რწმენის უფლება, მისი დაცულობა გარანტირებულია შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ უფლების გლობალურ მნიშვნელობას. ყოველი სახელმწიფო გამსჭვალული უნდა იყოს რწმენით, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სრულად რეალიზება, ხელს შეუწყობს მსოფლიო მშვიდობას, სოციალურ თანასწორობას, ასევე ხალხთა შორის მეგობრობასა და კოლონიალიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის იდეოლოგიისა თუ პრაქტიკის აღმოფხვარს. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია გაეროს მიერ მიღებული რეზოლუცია „ რელიგიისა და რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რითაც განამტკიცებს თანამედროვე სტანდარტებს ყველა სახელმწიფოს მიმართ, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ მათ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. აღნიშნულის მიხედვით, თითოეულმა ქვეყანამ უნდა მიიღოს ყველა შესაფერისი ზომა, მათი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად და ეროვნული სამართლებრივი სისტემების სათანადოდ გათვალისწინებით, რელიგიისა თუ რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობასა და მასთან დაკავშირებულ ძალადობასთან, მათ შორის, ქალთა დისკრიმინაციისა და რელიგიური ადგილების შებღალვის წინააღმდეგ საბრძოლველად, რამეთუ ყველას აქვს სინდისის, რელიგიის და რწმენის თავისუფლების უფლება.

სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება დაიცვას რელიგიური ჯგუფები მათდამი რელიგიური სიძულვილის გამოვლენისა და ფიზიკური თავდასხმებისგან. სამწუხაროდ, საქართველოშიც ხშირია შემთხვევები რელიგიური კუთვნილების, რწმენის ან ღვთისმსახურების პრაქტიკის საფუზველზე, საზოგადოების წევრთა მიერ შეურაცხყოფისა და დისკრიმინაციის ფაქტებისა, რომლებიც მოიცავენ რელიგიურ დევნას, რელიგიურ რიტუალებში ჩარევას, ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფებსა და ვანდალიზმს. ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახება

[21] „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“, მუხლი 14, ასევე მე-12 ოქმის 1-ლი მუხლი.
[22] „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, მუხლი 7.
[23] „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“, მუხლი 26, 27.

ქვეყნის სწრაფვაზე დემოკრატიული, შემწყნარებლური საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული დებულება, რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის გამო, ასევე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ[24], გულისხმობს კვლავ სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, არ დაუშვას ადამიანის დევნა მისი რწმენისა და რელიგიური კუთვნილების გამო, ან მისი შეხედულებების გამო ამ საკითხებთან მიმართებით. თვითონ დევნა შესაძლებებლია გამოიხატოს ადამიანის შევიწროებით და მისი უფლებების დარღვევით. ყოველივე ეს შეიძლება იყოს მისი გათავისუფლება სამსახურიდან, მის მიმართ ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის განხორციელება ან ქონების განადგურება რელიგიის, რწმენის ან შეხედულებების შეცვლის ან მათი გამოვლენის შეწყვეტის მოთხოვნით ან მის გარეშე. დევნა ასევე შეილება გამოიხატოს აღმსარებლობაში ან რელიგიურ საქმიანობაში ხელის შეშლით, ან რელიგიური ორგანიზაციების ოფიციალური აღიარებისა და რეგისტრაციისას უკანონო დაბრკოლებების შექმნით, აღნიშნული სახეზე იქნება მაშინაც თუ მათ მიმართ მიღებული და გამოყენებული იქნება დისკრიმინაციული კანონი. კონსტიტუციის მოცემული მუხლის კონკრეტული პუნქტით აღიარებული აკრძალვა აბსოლუტური ხასიათისაა და შეესაბამება ინდივიდის აბსოლუტურ უფლებას არ იდევნებოდეს რწმენის, არმსარებლობისა და სინდისის, ან მათ შესახებ გამოთქმული შეხედულებების გამო. ამ უფლებების აბსოლუტურობა გადის სახელმწიფოზე და აკისრებს მას ძლიერ პოზიტიურ ვალდებულებასაც, დაიცვას ადამიანი, ასევე პირთა ჯგუფები სხვა პირთა მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედებებისგან. სახელმწიფო ვალდებულია აღმოფხვრას ყოველგვარი დისკრიმინაცია და შექმნას ჰარმონიული ატმოსფერო, რადგან პლურალისტურ საზოგადოებაში აუცდენელია სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების არსებობა. სწორედ ამიტომ აუცილებელია მათ შორის ტოლერანტული გარემოს შექმნა, რაც უნდა წარმოადგენდეს დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარ მიზანს. ადამიანის დევნა, რაც განმტკიცებულია მე-16 მუხლის მესამე პუნქტში ყოველთვის აკრძალულია, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ სახელმწიფო უუფლებოა, რომ შეზღუდოს პირველი პუნქტით განმტკიცებული უფლებები ამავე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე.

1.3. დაცული სფეროში ჩარევა

მიუხედავად იმისა, რომ რწმენის თავისუფლებას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, როგორც დემოკრატიული საზოგადოებისთვის, ისე თითოეული ადამიანის პიროვნული ავტონომიისა და თვითრეალიზაციისთვის, ეს არ გამორიცხავს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას. ინდივიდების ყოველგვარი გადაწყვეტილებები, რომლებსაც საკუთარი რწმენის შესაბამისად იღებენ,სახელმწიფოს არ აქვს

[24] საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი, პუნქტი 3.

ვალდებულება მიიჩნიოს მართლზომიერ ქმედებად. ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო უფლებამოსილია და ვალდებულიც, ჩაერიოს რწმენის თავისუფლებაში, რათა უზრუნველყოს სხვათა უფლებების ან საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესების დაცვა.

კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიხედვით, შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ თავისუფლებათა გამოვლენის ანუ მხოლოდ გარეგან განზომილებასთან მიმართებაში, რაშიც მოიაზრება მხოლოდ რწმენისა და რელიგიის (აღმსარებლობის) გაცხადების თავისუფლება, ხოლო რაც შეეხება ამ თავისუფლებათა შინაგან ასპექტებს, ისინი ხელშეუვალია. თუმცა კონსტიტუციის მოცემული მუხლი უპირატესად იცავს ადამიანის შინაგანი სამყაროს, შინაგანი სფეროს დაცვას, მაგრამ მათი გამოვლენისას ადგენს ფარგლებს შეზღუდვისთვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული უფლება ყველაზე ხშირად კონკურირებადია სხვა უფლებებთან: ა) სხვათა (სხვა ადამიანთა) ამავე თავისუფლებასთან; ბ) სხვა უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან.[25] დემოკრატიული საზოგადოებისთვის, რა თქმა უნდა ყველაზე მნიშვნელოვანია უფლებადაცული ადამიანი, თუმცა ყოველთვის ცალკეული პირის ან თუნდაც უმრავლესობის ინტერესები მუდამ უპირატესი ვერ იქნება. დემოკრატიული სახელმწიფოს მიზანი სწორედ ინტერესთა დაპირისპირების დროს გონივრული ბალანსის არსებობაა. შესაბამისად, უფლებათა უმრავლესობის შეზღუდვა აუცდენელი პროცესია, რადგან მათი რეალიზაცია ხშირად წარმოშობს ღირებულებათა კონფლიქტს.[26]

სხვა შემთხვევათა მსგავსად, რწმენის თავისუფლებაც შეიძლება დაექვემდებაროს ამგვარ შეზღუდვას. ამიტომ ადამიანები მზად უნდა იყვნენ თავიანთი რწმენისთვის (რელიგიისთვის) მიიღონ გარკვეული შეზღუდვები და ვალდებულებები, რადგან ისინი იმ საზოგადოების წევრები არიან, სადაც მათ მსგავსად სხვა ადამიანებიც საჭიროებენ თვითრეალიზაციას, უფლებებით სარგებლობას. მნიშვნელოვანია საზოგადოების თითოეულ წევრს გათვიცნობიერებული ჰქონდეს თეზისი, რომლის თანახმადაც ყოველი ადამიანის უფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი უფლება. დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც სხვადასხვა რელიგიები თანაარსებობენ ერთსა და იმავე მოსახლეობაში, შესაძლოა, აუცილებელი იყოს შეზღუდვების დაწესება ცალკეული ჯგუფების ინტერესების შეთანხმებისა და ყველას რელიგიური რწმენის პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით.

სახელმწიფოს ვალდებულებაა უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფისას მოახდინოს კერძო და საჯარო ინტერესების გონივრული დაბალანსება. რწმენის თავისუფლების რთული ბუნება და მრავალმხრივი, განუსაზღვრელი შინაარსი არ უნდა გახდეს გადაულახავი პრობლემა, რათა შესაბამისი საჯარო ინტერესების დასაცავად მოხდეს მისი თანაზომიერი შეზღუდვა.

---

[25] „ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაკტიკა“, კოპალეიშვილი მ., თბილისი, 2013, გვ.175.

[26] ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, GIZ, 2013.

მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება საკინსტიტუციო სასამართლოს განმარტებაზე, როდესაც იგი საუბრობს ზოგადად რწმენის და რელიგიის არსსზე, რადგან სწორედ მისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა მოხდეს ამ უფლებაში სახელმწიფოს ჩარევა, თუკი გარდაუვალია სხვა მხრივ ინტერესეთა კონფლიქტის გადაჭრა. მოცემულ საკითხთან მიმართებით, საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“[27], რომლის მიხედვითაც სასამართლომ რწმენის თავისუფლება დაუკავშირა ადამიანის თვითგამორკვევას და აღნიშნა, რომ ეს თავისუფლებაც ადამიანის ღირსების პატივისცემის გამოხატულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის შინაგან თავისუფლებაში გადამეტებული, უხეში ჩარევა იწვევს მის სულიერ ტანჯვას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული რწმენის თავისუფლება გულისხმობს ამა თუ იმ რწმენის არჩევას, გაზიარებას, საკუთარი თავის მისადმი მიკუთვნებას ან უარყოფას, შეცვლას, ანუ ადამიანის აზროვნების შინაგანი სფეროს დაცვას, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. ამ უფლების დარღვევა კი სახელმწიფოს მხრიდან შეილება გამოიხატოს ადამიანზე იდეოლოგიური, მორალური ან ფსიქიკური ზემოქმედებით, დაშინებით, იძულებით უარი თქვას ან შეიცვალოს კონკრეტული რწმენა. ასევე აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ რწმენის თავისუფლების გამოხატულება უკავშირდება რელიგიის თავისუფლებას. რწმენის თავისუფლება გულისხმობს მის შესაბამისად ცხოვრების წარმართვის უფლებასაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უფლება დაკარგავდა ღირებულებას თითოეული ინდივიდისთვის მისი რეალიზების, სარგებლობის გარეშე.

1.4. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად. ადრე მოქმედი რედაქციით, ამ უფლებათა შეზღუდვის საფუძველი იყო მხოლოდ სხვათა უფლებების დაცვა[28], რითაც იგი განსხვავდებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლისგან[29], რომელიც შეზღუდვას უშვებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ჯანმრთელობის, მორალისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებათა დასაცავად. ესეგი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებენ თანამედროვე სტანდარტებს.

---

[27] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2011 წლის 22 დეკემბერი, N 1/1/477.

[28] საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი, 2017 წლის 1 ივლისის მდგომარეობით.

[29] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 9.

როდესაც სახელმწიფო ერევა ადამინის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების სფეროში, აუცილებელია შეზღუდვა პასუხობდეს იმ პრინციპებს, რომლებიც დამკვიდრებულია ევროპული კონვენციის სამართლის მიერ. იმისათვის, რომ სახელმწიფოს მხრიდან უფლებებში ჩარევა ჩაითვალოს მართლზომიერად, აუცილებელია შემდეგი კრიტერიუმების არსებობა:

1) **იყოს კანონის შესაბამისად ან კანონით გათვალისწინებული;**

ესეგი უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობა უნდა იყოს ნორმატიულად განმტკიცებული, თუმცა ყოველივე არაა საკმარისი იმისითვის, რომ კონკრეტული უფლების შეზღუდვამ დააკმაყოფილოს საერთაშორისო აქტით (კონვენციით) დაგენილი თანამედროვე სტანდარტები. „გათვალისწინებულია კანონით" გულისხმობს ორი მოთხოვნის არსებობას, რომლებიც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საქმეზე „ სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" (Sunday Times v. the United Kingdom)[30].პირველ რიგში, კანონი უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი - მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა გაერკვნენ თუ რომელი ნორმა გამოიყენება მოცემულ ვითარებაში, და მეორე, ნორმა ვერ ჩაითვლება კანონად, თუ იგი არაა ფორმულირებული საკმარისი სიცხადით, რაც მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას შეუსაბამოს მისი ქცევა აღნიშნულ ნორმას. იგი უნდა იყოს საკმარისად განჭვრეტადი და არ უნდა აძლევდეს სახელმწიფოს თვითნებობის შესაძლებლობას, რათა არ მოხდეს უფლებაში გადამეტებული ჩარევა.

2) **ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს (მაგ. ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვა),**

რომელიც პირდაპირ გათვალისწინებულია კონკრეტული მუხლით;

კანონიერი მიზნები, რომელთაც გამოც შეიძლება შეიზღუდოს ხსენებული მუხლით გათვალისწინებული უფლებები, თითოეულ მუხლში პირდაპირ არის ჩამოყალიბებული. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი პასუხობს კონვენციის მე-9 მუხლით დადგენილ მიზნებს, რომელთა გამოც შეიძლება შეიზღუდოს იგი. რელიგიის გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტური უფლება არ არის, იგი შეიძლება შეიზღუდოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯანმრთელობისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით. მაგალითად, რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია, როდესაც საქმე გვაქვს ადამიანის მსხვერპლად შეწირვასთან, თვითმკვლელობასთან ან სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ქმედებასთან.

3) **იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.**

უფლების შეზღუდვა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოწვეულია მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით. მართლზომიერია თუ არა უფლების შეზღუდვა, ფასდება პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპის საფუძველზე. სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიება, რომელიც მიმართულია ადამიანთა უფლების ან თავისუფლების შეზღუდვისკენ, მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების პროპორციული უნდა იყოს.

[30] Sunday Times v. the United Kingdom, Series A, no. 30, 1979/04/26.

რელიგიის თავისუფლებაში ჩარევისას, სახელმწიფომ უნდა შეაფასოს, არის თუ არა ჩარევა მართლაც აუცილებელი დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად და რამდენად პროპორციულია ჩარევის ღონისძიება სწორედ ამ მიზანთან მიმართებაში. სახელმწიფოს ვალდებულებაა, დააბალანსოს ერთმანეთის პირისპირ მდგარი ინტერესები და არ დაუშვას რელიგიის თავისუფლებაში გადამეტებული, ექსცესიური ჩარევა. ამისთვის მთავარია სახელმწიფოს მიზანი ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში გახდეს უფლების ნაკლებად მზღუდავი ღონისძიების გამოყენება. მასვე აქვს ვალდებულება, დაასაბუთოს არა მარტო ჩარევის აუცილებლობა, არამედ სწორედ ასეთი ჩარევის, ღონისძიების გამოყენების საჭიროება. სახელმწიფოს არ აქვს უფლება თავად განსაზღვროს არის თუ არა ესა თუ ის რელიგიური რწმენა ან მის გამოსახატავად გამოყენებული საშუალებები ლეგიტიმური.

II. რელიგიის თავისუფლება და სახელმწიფო

2.1. სახელმწიფოს ძირითადი როლი და მის მიერ დაწესებული სტანდარტები რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფისთვის

„რელიგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ადამიანის სიცოცხლისთვის საზრისის მინიჭება, შეიტანეთ ეჭვი ადამიანების რელიგიურ რწმენაში და თქვენ შეეხებით მათ ყველაზე სანუკვარ აზრებს სამყაროში ადამიანის დანიშნულების შესახებ“ - ამბობს ნეილ სმელზერი[31].

რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება წარმოადგენს „დემოკრატიული საზოგადოების“ ქვაკუთხედს. ეს უფლება ადამიანების ცნობიერებისა და ცხოვრების წესის ერთ-ერთი სასიცოცხლო ელემენტია. ამასთანავე, იგი ფასეულია ათესტების, აგნოსტიკოსების, სკეპტიკოსებისა და იმ პირებისთვის, რომლებსაც ინდეფერენტული დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხების მიმართ. დემოკრატიული საზოგადოებისაგან განუყოფელი პლურალიზმი, რომლის მიღწევაც შესაძლებელი გახდა საუკუნეების განმავლობაში ბრძოლის შედეგად, დამოკიდებულია ამ უფლებასა და მის ეფექტურად განხორციელებაზე. ყოველივე ამის უზრუველყოფაში კი სახელმწიფოს როლი დიდია.

იმისათვის, რომ აღნიშნული უფლების რეალიზება მოხდეს, სახელმწიფოს მიზანს უნდა წარმოადგენდეს ამ უფლებით სარგებლობისთვის სათანადო პირობების შექმნა ყოველი ინდივიდისთვის, ყოველგვარი არამართლზომიერი ჩარევების გარეშე. რელიგიის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს ეკისრება შემდეგი ამოცანების შესრულება[32]:

1. ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და მისი შედეგების აღმოსაფხვრელად;
2. რელიგიური გაერთიანებებისთვის საკუთარი საქმიანობის შეუზღუდავად განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
3. ისეთი ქმედებების განხორცილება, რომლებიც ხელს შეუწყობს რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების პრევენციას და მათ ეფექტურად გამოძიებას;
4. რელიგიურ ნიადაგზე განვითარებული კონფლიქტების პრევენცია და მათზე რეაგირება სახელმწიფოს პირველად ვალდებულებას წარმოადგენს. მსგავსი კონფლიქტები საფრთხეს უქმნის პლურალიზმზე დამყარებულ მრავალფეროვან საზოგადოებაში განსხვავებულ ჯგუფთა მშვიდობიან თანაცხოვრებას და შემწყნარებლობის, სოლიდარობის დამკვიდრებას. პრევენციული მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ინფორმირებულობისა და განათლების უზრუნველყოფას გულოისხმობს.

[31] ნეილ ჯოზეფ სმელზერი - ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ემერუტუს-პროფესორი.

[32] საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2015.

აკადემიური, სიტემური და ნეიტრალური განათლება, ისევე, როგორც საზოგადოების იფორმირების სხვა საშუალებები, დაძლევს განსხვავებულ ჯგუფთა შორის ერთმანეთის უცოდინრობის, ან ერთმანეთის შესახებს სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო წარმოშობილ მიუღებლობასა და შიშებს. კონფლიქტებზე რეაგირების მიმართულებით, სახელმწიფოს სამართალდაცვითი საქმიანობის გააქტიურება უზრუნველყოფს დაცული გარემოს შექმნას.

5. რელიგიური უმცირესობები საქართველოს საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. მათ განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. სახელმწიფო არ უნდა ახდენდეს აქტიურ გავლენას საზოგადოებაში მიმდინარე ბუნებრივ პროცესებზე, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ქმედებების გამორიცხვას, რომლებიც მოშლიდა ბუნებრივ განსხვავებას უმრავლესობასა და უმცირესობებს შორის. სახელმწიფოს უმთავრეს ვალდებულებას და მიზანს უნდა წარმოადგენდეს კანონის წინაშე ადამიანთა და მოქალაქეთა თანასწორიბის უზრუნველყოფა. ამდენად, დაუშვებელია კანონის წინაშე თანასწორობის დარღვევა რომელიმე პირის (ჯგუფის) უმრავლესობისადმი ან უმცირესობისადმი კუთვნილების ნიშნით.

სახელმწიფოს ძალიან ფართო ვალდებულებები ეკისრება რელიგიის თავისუფლების დაცვისა და უზრუნველყოფის სფეროში. მან აქტიური როლი უნდა ითამაშოს იმ შემთხვევაში, თუ რელიგიური პრინციპების განხორციელება იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანის უფლებების დარღვევა. აღმსარებლობის შესახებ ინფორმაცია პირის ძალზე პირად სფეროს განეკუთვნება, ამიტომ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი მასში ჩარევისაგან.[33] პლურალისტურ საზოგადოებაში მშვიდობისა და ერთიანობის პროპაგანდა სახელისუფლებო პოლიტიკის ამოსავალი იდეაა. დემოკრატიული სახელმწიფოები, ყველა რელიგიას, რომლებიც ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციით დადგენილ პირობებს იცავენ, იმავე პირობებით განვითარებისა და საზოგადოებაში სათანადო ადგილის დაკავების საშუალებას უნდა აძლევდნენ. პრობლემები ჩნდება მაშინ, როდესაც ხელისუფლება ცდილობს რელიგია საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენოს, ანდა პირიქით, როცა რელიგია ცდილობს თავისი მიზნებისთვის სახელმწიფოს გამოყენებას. იმისთვის, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს რელიგიის თავისუფლება ქვეყანაში, აუცილებელია მან დაიცვას თანამედროვე სტანდარტები და იმოქმედოს მათ შესაბამისად. აღნიშნული გულისხმობს შემდეგი კრიტერიუმების არსრულებას: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რელიგიური პლურალიზმის დაცვა ყველა რელიგიასთვის ერთი და იგივე პირობებში განვითარების საშუალების მიცემით; ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში ხელი შეუწყოს რელიგიური რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების შესრულებას,

[33] გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართელბრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი,თბილისი, 2018.

მაგალითად, ქორწინებასთან, ჩაცმულობასთან, სამხედრო სამსახურთან დაგავშირებით და სხვა; დაგმონ პარტიული ნიშნებით რელიგიის შიგნით, ან რელიგიებს შორის კონფლიქტის გაჩაღების ნებისმიერი მცდელობა; უზრუნველყოს განათლების თავისუფლება და თანასწორი უფლებები ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად მათი რელიგიური რწმენისა, წეს-ჩვეულებებისა და რიტუალებისა; ყველა რელიგიისთვის გახადოს მედიის თანასწორი და სამართლიანი ხელმისაწვდომობა; ხელი შეუწყოს რელიგიების შესახებ განათლებას. სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა, უზრუნველყოს რელიგიებთან და რელიგიებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება, კერძოდ, უფრო რეგულარული დიალოგი გამართოს რელიგიის წარმომადგენლებთან, ჩართოს თემები და ორგანიზაციები დემოკრატიული ღირებულებების დაცვასა და ინოვაციური იდეების მხარდაჭერის პროცესში; ხელი შეუწყოს რელიგიების კულტურულ და სოციალურ გამოხატვას, რაც გულისხმობს თანაბარი პირობების შექმნას ყოველი რელიგიური ორგანიზაციისთვის, დაიცვან ტრადიციები და სხვადასხვა რელიგიური დღესასწაულები.[34]

2.2. რელიგიის თავისუფლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში

განათლების სისტემა ადამიანის უფლებებს შეესაბამება და გამართულია, თუ სახელმწიფო საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფს ნეიტრალური, არარელიგიური გარემოს არსებობას, საჭირობის შემთხვევაში კი უშვებს რელიგიის შესახებ საგნებს და ამასთანავე მოსწავლეებს ანიჭებს უფლებას, სურვილის მიხედვით, არ გაიარონ ისინი. აუცილებელია, რელიგიის სწავლებისას, დაცული იყოს ნეიტრალიტეტისა და ობიექტურობის მოთხოვნები.[35] სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალიტეტი განათლებაში საზოგადოებრივი პლურალიზმის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. რელიგიისა და ეთიკის შესახებ სწავლება სკოლებში მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინდიფერენტულობის, ფანატიზმის, შეუწყნარებლობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას. ყოველივე ეს შესაძლოა დაეხმაროს ინდივიდს იმის გაგებაში, თუ როგორ აყალიბებს რელიგიური რწმენა, აღმსარებლობა და ღირებულებები საზოგადოებას, რომ ის ხშირად განსაზღვრავს პირთა მოქმედებას სხვადასხვა ასპექტში.

რელიგია თანამედროვე კულტურისა და საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესზე ოდითგანვე დიდ გავლენას ახდენდა. სკოლებში რელიგიის სწავლებას ემხრობა არა მარტო სხვადასხვა რელიგიური ჯგუფი, არამედ ისეთებიც, ვინც არცერთი რელიგიის მიმდევარი არაა (მაგ. ათეისტები) . აუცილებელია, რელიგიის სწავლების პროგრამა სწორად დაინერგოს განათლების სისტემაში და მიზნად არ ისახავდეს ცალკეული რელიგიური თუ არარელიგიური მსოფლმხედველობის მხარდაჭერას. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც თვლის რომ ნაწილია

[34] „რელიგია და დემოკრატია“, ევროსაბჭო, რეკომენდაცია 1396.

[35] გეგენავა დ., ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართელბრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2018.

საზოგადოებრივი ცხოვრების, სჭირდება ცოდნა რელიგიის, როგორც მოვლენის, მისი ისტორიისა და კულტურის შესახებ.[36]

რელიგიური განათლება ევროპის მასშტაბით მეტად მრავალფეროვანი და განსხვავებულია სახელმწიფოთა მიხედვით. მათ უმრავლესობაში რელიგიური განათლება სავალდებულოა და უმცირესობებისთვის დადგენილია გამონაკლისები.

ევროსასამართლოს პრაქტიკის თანახმად, აუცილებელია რელიგიური განათლება ორ კომპონენტს შეიცავდეს, ესენია: 1) სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია იყოს კრიტიკული, ობიექტური და პლურალისტური; და 2) სახელმწიფომ არ დაუშვას ინდოქტრინიზაცია. სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია რელიგიის შესახებ საჯარო სკოლებში ლეგიტიმურია. მნიშვნელოვანია, სწავლებისას დაცული იყოს ობიექტურად და ნეიტრალურად მიწოდების პრინციპი. ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, სახელმწიფოს შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს რელიგიის სწავლების მეთოდები, თუმცა იმ პირობის სავალდებულო დაცვით, რომ ყოველივე აღნიშნული განხორციელდება დისკრიმინაციის გარეშე.

განათლების კონსეფსია საინტერესოდ განმარტა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – Campbell and Cosans vs UK, სადაც ამბობს : „განათლება არის მთლიანი პროცესი, როდესაც მოზარდები ცდილობენ გადასცენ ახალგაზრდებს თავიანთი რწმენა, კულტურა და სხვა ღირებულებები, ხოლო სწავლება არის კონკრეტული ცოდნისა და ინტელექტის გადაცემის პროცესი“. მოცემულიდან, ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია რელიგიის ინტეგრირება საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რელიგიის თავისუფლების სრულად სარგებლობის უფლება აქვს ყველას და მისი არამართლზომიერი შეზღუდვა დაუშვებელია კანონიერი საფუძვლის გარეშე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორ ხდება ამ უფლების განხორციელება უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, რადგან ხშირია შემთხვევები მათი დაჩაგვრისა სწორედ რელიგიური კუთვნილების გამო. მოცემულ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებ საჯარო სკოლებზე, ხომ არ გვაქვს ტენდენცია პროზელიტიზმის, დისკრიმინაციისაა და არატოლერანტული დამოკიდებულება რელიგიური უმცირესობების მიმართ.

ზოგადად, მნიშვნელოვანია საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლების საკითხებთან დაკავშირებით არსებული სტანდარტები. ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი კონკრეტულად ეხება „სწავლებას“, როგორც რწმენის გამოხატვის აღიარებულ ფორმას. თუმცა ეს უფლება არაა აბსოლუტური და შესაძლებელია მისი შეზღუდვა გარკვეულ შემთხვევებში. განათლების სფეროში დაუშვებელია ინდოქტრინიზაცია და ამასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის საფუძველზე. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) შეფასებით, რელიგიის სწავლება სკოლაში უნდა იყოს არჩევითი, ხოლო თუ სავალდებულოა, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს, რომ სწავლება ასახავდეს იმ მრავალფეროვან

[36] „რელიგია და დემოკრატია“, ევროსაბჭო, რეკომენდაცია 1396.

საზოგადოებას, რომელშიც მოსწავლეები ცხოვრობენ და არ იყოს რომელიმე რელიგიური ჯგუფის ინტერესებზე მორგებული.[37] ECRI - ის რეკომენდაციით, ასევე აუცილებელია, საჯარო სკოლებში სწავლებისას ნეიტრალიტეტის დაცვა, იგი სახელმწიფოებს მოუწოდებს განათლების სფეროში მომუშავე პირების გადამზადებისაკენ, რათა მათ შეძლონ მულტიკულტურულ გარემოში მუშაობა.

განათლების უფლების ერთ-ერთ პრინციპად ჩამოყალიბდა საერთაშორისო პრაქტიკაში ობიექტური, კრიტიკული და პლურალური განათლების უზრუნველყოფა. ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე საქმეში დაადგინა, რომ სახელმწიფომ განათლების უფლების განხორციელებისას უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის და ცოდნის მიწოდება შესაბამისი სასწავლო პროგრამებით, ობიექტური, კრიტიკული და პლურალური ღირებულებების დაცვით. თუ ეს ასე არ მოხდა, სახელმწიფო ვალდებულია, მისცეს მოსწავლეებს უფლება, არ დაესწრონ იმ კლასებს, რაც მათი და მათი ოჯახების რელიგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს ეწინააღმდეგება.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა ჩაატარა „ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC)“, რომლის დაკვირვების ობიექტი იყო თბილისის რვა საჯარო სკოლა.[38] აღნიშნულის მიზანი იყო, ერთი მხრივ, გაერკვია მასწავლებელთა დამოკიდებულებები უმცირესობების, რელიგიის სწავლების საკითხების მიმართ და მეორე მხრივ, ის მოიცავდა სკოლაში დისკრიმინაციის, ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის ფაქტების გამოვლენას. კვლევამ მასწავლებელთა დამოკიდებულებებში შეუწყნარებლობისა და განსხვავებულის მიმართ მიუღებლობის ტენდენცია აჩვენა, რაც სასწავლო პროცესის დროს დისკრიმინაციულობის, პროზელიტიზმის არსებობის მაღალ რისკებზე უთითებს. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენს როგორც უმცირესობათა უფლებების რეალიზებაზე, ისე თვით რელიგიის თავისუფლებაზე. სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, რელიგიის სწავლა საჯარო სკოლებში მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად. მან უნდა შექმნას სკოლაში ობიექტური და ნეიტრალური სასწავლო გარემო და სხვადასხვა რელიგიაზე ზოგადი და კულტურული ცოდნის გავრცელებას შეუწყოს ხელი, ცალკეულ რელიგიაზე ფოკუსირების გარეშე. მშობლები არიან თავისუფალნი, აირჩიონ შვილებისთვის კონკრეტულ რელიგიაზე ორიენტირებული კლასები. ადამიანის უფლებათა ევროპული კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს რელიგიური განათლების უზრუნველყოფისას გაითვალისწინონ ეთნიკური უმცირესობების შეხედულებები. აუცილებელია სკოლებში რელიგიისა და ფილოსიფიის სწავლებისას, სახელმწიფომ არ დაუშვას, ბავშვებისათვის გარკვეული დოქტრინების თავს მოხვევა და უზრუნველყოს, რომ სასწავლო მასალის გადაცემა მოხდეს ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური პრინციპების დაცვით.

---

[37] ბეგაძე მ., დელისი ს., ბასილაია თ., რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, 2016.

[38] რელიგია საჯარო სკოლებში, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი, 2014.

2.3. რელიგიის თავისუფლების დაცვის ფარგლები სამხედრო სამსახურში

ნებისმიერ სამხედრო ვალდებულ პირს აქვს უფლება, უარი თქვას სამხედრო სამსახურზე, თუ ამგვარი სამსახური და მასთან დაკავშირებული გარემოებები (მაგალითად, როგორიცაა: იარაღის გამოყენება, სამხედრო უნიფორმის ტარება და სხვა), ეწინააღმდეგება მის რწმენასა და სინდისს. ესაა სწორედ გამოხატულება ღირებულებათა კოლიზიის, ინდივიდის უფლებასა და საჯარო ინტერესს შორის, როდესაც ინდივიდის უფლება გადასწონის საჯარო ინტერესს. თუმცა გონივრული ბალანსის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს აქვს უფლება, დააკისროს ასეთ პირებს სხვა ალტერნატიული სამსახურის შესრულება, რომელიც რაღა თქმა უნდა, არ უნდა ატარებდეს დასჯის ხასიათს.[39]

ბევრი ადამიანი აცხადებს, რომ სამხედრო სამსახურზე უარის (რწმენის გამო სამხედრო სამსახურზე უარი), უფლება მათ აქვთ იმიტომ, რომ ეს უფლება გამომდინარეობს ისეთი საერთაშორისო აქტიდან, როგორიცაა „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, რომელიც მათ ანიჭებთ აღნიშნულის თავისუფლებას. მოცემული საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით, მრავალმა სახელმწიფომ თავიანთი კანონმდებლობით სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლეს ის მოქალაქეები, რომლებსაც ნამდვილად აქვთ ისეთი რელიგიური თუ სხვა რწმენა, რომელიც კრძალავს სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებას და სამხედრო სამსახური ალტერნატიული სახელმწიფო სამსახურით ჩაანაცვლეს.

აღნიშნული მიდგომა გაითვალისწინა საქართველომაც. კონსტიტუციის მე-16 მუხლით გათვალისწინებული რწმენის თავისუფლებით დაცულია კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება. ამ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმადაც, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის წარმოშობის საფუძველია ადამიანის რწმენა, რომელიც მას უკრძალავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას, შესაბამისად ასეთი ადამიანები უარყოფენ იარაღით ხელში სამსახურს, როგორც ომის, ისე მშვიდობის დროს.

კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქომე პირების უარი სამხედრო სამსახურზე, მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული რწმენის შენარჩუნებას და მის შესაბამისად ცხოვრებას. მათ მიზანს არ წარმოადგენს საკუთარი რწმენის გასაჯაროება, სხვებისთვის თავს მოხვევა. ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ რწმენის შესაბამისად, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამოვლენა მაშინ ხდება, როდესაც სახელმწიფო მათ ავალდებულებს, მოიქცნენ საკუთარი რწმენის საწინააღმდეგოდ.

მოცემულ საკითხთან მიმართებაში, საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2011 წლის 22 დეკემბრის

[39] „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” გამომცემლობა შპს „პეტიტი”, თბილისი, 2013.

გადაწყვეტილება[40], რომლის მიხედვითაც სადავო საგანს წარმოადგენდა სამხედრო სარეზერვო სამსახურის, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის არარსებობის კონსტიტუციურობა. სასამართლომ არსებითი განხილვის დროს დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და დაასკვნა, რომ ჩარევა იყო რწმენის თავისუფლებაში. სასამართლოს განმარტებით, 1) სამხედრო სარეზერვო სამსახური თავისი შინაარსითა და სიმძიმით უტოლდება სამხედრო სავალდებულო სამსახურს, რის გამოც იგი პოტენციურად წარმოშობს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლებას, 2) იმ დროისთვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა გამორიცხავდა რეზერვში გასაწვევ პირთა ან სარეზერვო სამსახურში მყოფთა შესაძლებლობას, მოეთხოვათ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური, შესაბამისად, სადავო ნორმით - „ სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით, ხდებოდა რწმენის თავისუფლებაში ჩარევა.

სასამართლომ სამხედრო სამსახურის ადეკვატურ ჩამნაცვლებად კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებისთვის, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური მიიჩნია, რომელიც მიუხედავად იმის, რომ წარმოადგენს სამოქალაქო სამსახურს, არის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება კომპრომისის მისაღწევად კონსტიტუციურ უფლებასა და ქვეყნის დაცვის კონსტიტუციურ ვალდებულებას შორის. სადავო ნორმით კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირები დგებოდნენ არჩევანის წინაშე: ან უნდა მოეხადათ სამხედრო სარეზერვო სამსახური მათი რწმენის საწინააღმდეგოდ ან უნდა ემოქმედათ საკუთარი რწმენის შესაბამისად, თუმცა ამ დროს მათ ეკისრებოდათ კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. ყოველივე ეს კი გულისხმობდა სახელმწიფოს მხრიდან ამ პირებისადმი იმის მოთხოვნას, რომ უარი ეთქვათ თავიანთ რწმენაზე, რაც არღვევდა კონსტიტუციით დაცულ რწმენის თავისუფლებას. სასამართლომ დაადგინა პროპორციულობის პრინციპის დარღვევა, რადგან ლეგიტიმური მიზნის მიღწევა ხდებოდა რწმენის თავისუფლებაში ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმის გამოყენებით, რომელიც პრაქტიკულად უფლების სარგებლობის შეუძლებლობას უტოლდებოდა, მაშინ, როდესაც იგივე მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო უფლებაში ნაკლებად ჩარევის გზით. ყოველივე ამის საფუძველზე სასამართლომ აღნიშნული ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გახდა ნათელი, რომ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები სრულად უნდა იყოს დაცული ყველა სფეროში, თუ არაა სახეზე შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები. დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ხიბლიც სწორედ ისაა, რომ მის მთავარ ამოსავალ იდეას, მიზანს წარმოადგენს თავისუფალი ადამიანი, რომლის უფლებებიც და თავისუფლებებიც არა მარტო დაცული, არამედ ქმედითია მათი სარგებლობის რეალიზებით.

სამხედრო სამსახურზე უარი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამო, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანახმად, აღიარებული უნდა იყოს

[40] იხ. აქ : https://matsne.gov.ge/ka/document/view/1560250?publication=0

როგორც მშვიდობის, ასევე ომის დროს. „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ პაქტის მე-18 მუხლის ზოგადი კომენტარის მიხედვით, თუ სახემწიფო აღიარებს სამხედრო სამსახურთან მიმართებით კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლებას, დაუშვებელია რაიმე ფორმის დიფერენციაცია კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებს შორის მათი რწმენის საფუძველზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. საქმეში Bayatyan v. Armenia[41], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი, იყო თუ არა რელიგიური მოტივით სამხედრო ვალდებულებაზე უარის თქმა გარანტირებული უფლება კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით. საქმე ეხებოდა 2003 წელს, იეჰოვას მოწმისათვის მსჯავრის დადებას, სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის გამოს. პირი დააპატიმრეს, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთს უკვე აღებული ჰქონდა ევროპის საბჭოს მიერ განსაზღვრული ვალდებულება - საყოველთაო სამხედრო სამსახურის ნაცვლად, იმ პირებისთვის, რომლებიც რწმენის გამო უარს ამბობდნენ მასზე, შეეთავაზებინა ალტერნატიული საზოგადოებრივი სამსახური სამი წლის ვადით. დიდმა პალატამ მოცემულ საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა და აღნიშნა, რომ კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტია, რომელიც უნდა განიმარტოს დღევანდელი მდგომარეობისა და იმ იდეების გათვალისწინებით, რომელიც გამოხატულია დემოკრატიულ საზოგადოებაში. შესაბამისად, სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარი, რომელიც მოტივირებულია შეიარაღებულ ძალებში სამსახურსა და პირად სინდისს შორის, ან რელიგიურ ან სხვა მრწამს შორის მწვავე და გადაულახავი კონფლიქტით, წარმოადგენს მე-9 მუხლით გათვალისწინებული გარანტიებით დაცულ სფეროს.

საინტერესოა ასევე ამერიკის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც მრწამსი, რომლის გამოც პირი უარს ამბობს სამხედრო სამსახურზე, შეიძლება იყოს როგორც რელიგიური, ისე არარელიგიური. სასამართლომ განმარტა, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება თანაბრად ეკუთვნის მათ, ვისი წინააღმდეგობაც გამომდინარეობს არა რელიგიიდან, არამედ იმ შეხედულებებიდან ომის შესახებ, რომლებსაც ადამიანის ცხოვრებაში რელიგიის მსგავსი ადგილი უჭირავთ.

2.4. რელიგიის თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა ჯანდაცვის სფეროში

რიგი კანონები მედიცინის სფეროში შეიცავენ დებულებებს რელიგიური უფლებების დაცვის შესახებ. საქართველოს კანონის „ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 112[1]-ე, 118-ე, 151-ე და 153-ე მუხლების[42] მიხედვით დაუშვებელია სასწავლო

[41] Bayatyan v. Armenia, Application no. 23459/03, Council of Europe: European Court of Human Rights, 7 July 2011, available at: http://www.refworld.org/docid/4e254eff2.html [accessed 3 April 2015].
[42] საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ იხ. აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=42.

ან/და სამეცნიერო კვლევის მიზნით უპატრონო ან/და ამოუცნობი გვამის ან მისი ანატომიური სტრუქტურების გამოყენება, თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მისი ამგვარად გამოყენება შელახავს გარდაცვლილის რელიგიურ შეხედულებებს.

თუ მიღებული სამედიცინო სტანდარტებით, გარდაცვლილი შესაფერისი კანდიდატია ორგანოს ასაღებად, ამასთან მას სიცოცხლეში არ აქვს გაცხადებული თანხმობა ან უარი გაცემაზე და არაა საფუძველი იმის დასაშვებად, რომ გაცემა ეწინააღმდეგება მის რელიგიურ რწმენას, ეთიკურ პრინციპებს, ორგანოს აღება შეიძლება მხოლოდ გარდაცვლილის ნათესავების ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

საქართველოს კანონის „პაციენტის უფლებების შესახებ“[43] მე-6 და მე-15 მუხლების მიხედვით პაციენტის დისკრიმინაცია რწმენისა და აღმსარებლობის გამო დაუშვებელია. პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწევისგან მოითხოვოს მისი ღირსების, ტრადიციების, აღმსარებლობისა და პიროვნული ფასეულობების პატივისცემა.

2.5. რელიგიის თავისუფლება შრომით ურთიერთობებში

საქართველოს „შრომის კოდექსის“ მიხედვით[44], შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. შრომით და წინასახელშეკრულო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერ სახის დისკრიმინაცია, მათ შორის, რელიგიური შეხედულებების გამო არაგონივრული დიფერენციაცია.

დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამამცირებელი გარემოს შექმნას ან მისი უფლებების შელახვას.

2.6. რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფა სისხლის სამართალში

საქართველოს „სისხლის სამართლის კოდექსის“[45]როგორც ზოგადი, ასევე კერძო ნაწილი შეიცავს ნორმებს რელიგიის თავისუფლების დარღვევის თაობაზე. კოდექსის ზოგადი ნაწილის 53-ე მუხლის მიხედვით დანაშაულის ჩადენა რელიგიის ან სხვა დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის. გარდა ამისა, კოდექსის კერძო ნაწილის რიგი

[43] საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ იხ. აქ : https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=11.
[44] საქართველოს „შრომის კოდექსი“, იხ.აქ : https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=12.
[45] საქართველოს „სისხლის სამართლის კოდექსი“ იხ. აქ : https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=208.

მუხლები ასევე დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს დანაშაულის რელიგიური მოტივით ჩადენას.

კოდექსის 155-ე მუხლის თანახმად, ასევე დასჯადია ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ რიტუალის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა.

2.7. რელიგის თავისუფლება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

რელიგიის როლი, ისეთ სისტემაში, როგორიცაა სასჯელაღსრულებითი დაწესებულება, უაღრესად მნიშვნელოვანია. სახელმწიფოთა უმრავლესობა აღიარებს მსგავს მოწყვლად ჯგუფებში რელიგიური თემატიკის აქტუალობას და ცდილობს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი პატიმართათვის რელიგიური თავისუფლების პრაქტიკულ განხორციელებას.

ზოგადად, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია, რადგან საქმე ეხება ისეთ მოწყვლად კატეგორიას, რომელთა სულიერი მდგომარეობა იზოლაციიც პირობების გამო, განსხვავებულ მდგომარეობაშია. ამიტომ მნიშვნელოვანია პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფა, პირის რწმენისა და აღმსარებლობის უფლების რეალიზაცია.

განსაზღვრული ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტებია: 1) საქართველოს პატიმრობის კოდექსი; და 2) საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის №187 ბრძანება. პატომრობის კოდექსით დადგენილია შემდეგი გარანტიები: ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ ღონისძიებებში, მას უფლებ აქვს საკუთარი სახსრებით შეიძინოს რელიგიური დანიშნულების ნივთები, გარდა მინისტრის მიერ აკრძალულისა. მნიშვნელოვანია პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული იყოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის და სასულიერი პირებთან შეხვედრის წესი. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს შეხვდეს მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, აგრეთვე რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის ან/და ტრადიციულო კონფესიების წარმომადგენელს, რომელიც დაწესებულებაში დაიშვება მხოლოდ შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის მიერ დაწესებულებასთან წინასწარი შეთანხმებით. ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს უფლება აქვთ თან იქონიონ და ისარგებლონ რელიგიური ლიტერატურით, ინდივიდუალური რელიგიური კულტის საგნებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი წარმოადგენენ ბასრ, მჩხვლეტავ ნივთებს.

ამასთანავე მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ნებისმიერ ბრალდებულს/მსჯავრდებულს განურჩევლად მათი რელიგიური მრწამსისა, შეუქმნას თანაბარი პირობები და აღჭურვოს ისინი ერთნაირი უფლებებით, რათა მათ შემლონ რელიგიის თავისუფლების პრაქტიკული რეალიზაცია, რა თქმა უნდა, კანონმდებლობით დადგენილი წესით და სასჯელაღსრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

III. რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები

საქართველო მიერთებულია რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც ქმნიან რელიგიისა და წრმენის თავისუფლების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივ გარანტიებს.

1. **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია** (ევროკონვენცია, 1950წ. რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წელს) განსაზღვრავს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების არსს და ადგენს მისი გამოხატვის რეგულირებას (მუხლი 9). ამასთან, წარმოადგენს მოქმედ სამართალს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოსთვის, რითაც უზრუნველყოფილია მოცემული თავისუფლებით სრულყოფილი სარგებლობის შესაძლებლობა;[46]
2. **საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ** (1966/1976წწ, საქართველო მიერთებულია 1994 წლიდან) განსაზღვრავს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების არსს და ადგენს მისი გამოხატვის რეგულირებას, ასევე განსაზღვრავს მშობელთა და კანონიერ მეურვეთა თავისუფლებას, უზრუნველყონ საკუთარი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი მრწამსის შესაბამისად (მუხ.18);[47]
3. **კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ** (1960/1962 წწ, საქართველო მიერთებულია 1993 წლიდან) განსაზღვრავს განათლების პროცესში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობასა და რელიგიურ განათლებაზე ბავშვების წვდომის უფლებას (მუხ.5).[48]

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია ოსლოს დეკლარაცია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ, ასევე გაერთიანებული ერების გენელარული ასამბლეის მიერ მიღებული არაერთი დოკუმენტი, რომლებიც უფრო ნათლად წარმოაჩენენ რელიგიის უფლების არსს და მისი ქმედითობისთვის აუცილებელ გარანტიებს.

---

[46] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, იხ. აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0.

[47] საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, იხ. აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0.

[48] განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია, იხ. აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4466863?publication=0.

3.1. რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

ზოგადად, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დასავლური იდეოლოგიის მონაპოვარს. უფლება აზრისა და სინდისის თავისუფლებაზე დემოკრატიული წესწყობილების (რომელიც ერთადერთი მისაღები წესწყობილების ფორმაა კონვენციისათვის) ორ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს, ხოლო რელიგიის თავისუფლებასთან ერთად კი - ადამიანისადმი პატივისცემის პრინციპს.[49]

აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება განეკუთვნება ძირითადი უფლებების იმ კატეგორიას, რომელთა გარეშეც სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო არ შეიძლება არსებობდეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს აზრის სინდისის და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად საქვეყნოდ ან განკერძოებით გააცხადოს თვისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება არ არის აბსოლუტური, თუმცა ამ უფლებაში ჩარევის ფარგლები კონკრეტულადაა გათვალისწინებული ამავე მუხლის მეორე პუნქტში, რომლის მიხედვითაც, რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. თავის მხრივ ეს პუნქტი ადგენს ბალანსს პირის უფლებას და საზოგადოების ინტერესებს შორის, როდესაც ისინი წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. ამასთან, იმისთვის, რომ შეზღუდვა შეესაბამებოდეს კონვენციის მოთხოვნებს, უნდა იყოს გათვალისწინებული კანონით, აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისთვის და მიმართული იყოს ასეთი კანონიერი მიზნის მისაღწევად, ამასთანავე შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ვალდებულებას, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს რელიგიის თავისუფლების უფლების დაცვა და რელიგიური მრწამსის მქონე პირებისთვის ამ მუხლით გარანტირებული უფლების მშვიდობიანი სარგებლობა. ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ საქმეზე ევროსასამართლომ განმარტა, რომ პირებს, რომლებიც ავლენენ თავიანთ რელიგიას, იმის მიუხედავად, ისინი განეკუთვნებიან რელიგიურ უმცირესობას თუ

[49] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-0l--11-en-00---10-ru-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL4.4&d=HASH315ca02c9d1f0f1e2a2c6f.13.8&gt=1 (ნანახია 25 ივნისს 2019 წელს)

უმრავლესობას, არ აქვთ გონივრული საფუძველი ვარაუდისა, რომ ისინი არ იქნებიან გაკრიტიკებულნი, მათ უნდა მოითმინონ და შეეგუონ იმას, რომ შესაძლოა მათი რელიგიური მრწამსი უარყოს სხვა რელიგიურმა ჯგუფმა და ამასთან ერთად გაავრცელონ კიდეც სწავლება იმ რელიგიისა, რომელიც ეწინააღმდეგება მათ მრწამსს. თუმცა რელიგიური სწავლების და მრწამსის უარყოფამ, და ან კრიტიკის ხერხებმა, შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, თუ იგი ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფს მე-9 მუხლით გარანტირებული უფლების მშვიდობიან სარგებლობას ყველასთვის, ვინც ემხრობა ამ სწავლებას და მრწამსს. ექსტრემალურ სიტუაციებში, კრიტიკის ან რელიგიური მრწამსის უარყოფის შედეგი შეიძლება ისეთი იყოს, რომ ხელი შეუშალოს ამ პირების მიერ თავიანთი მრწამსის მიმდევრობას ან გამოხატვას.[50]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით „რელიგიური ასპექტი გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც ქმნის მორწმუნეთა იდენტობასა და აყალიბებს ცხოვრების მათეულ წარმოდგენას, ამასთანავე იგი გახლავთ მნიშვნელოვანი ღირებულება ათეისტების, აგნოსტიკოსთა, სკეპტიკოსთა და დაინტერესებულ პირთათვისაც. ევროსასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ მუხლით დაცულ სიკეთეებში მოიაზრება მუსლიმანური რელიგია, დრუიდიზმი, პაციფიზმი და ვეგანიზმი, კრშნას რელიგია და იეჰოვას მიმდევრობა. ამ მუხლით ასევე დაცულია არარელიგიური მიმდევრობები, როგორიცაა ათეიზმი, აგნოციზმი, სკეპტიციზმი და ურწმუნოება. რელიგიური პლურალიზმი დემოკრატიული საზოგადოებისგან განუყოფელი და მასზე დამოკიდებულია, მისი მოპოვება ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში.“[51]

ამასთან, მე-9 მუხლით დაცულია არა მხოლოდ რელიგიური, არამედ არარელიგიური მრწამსიც. ასე მაგალითად, პაციფიზმი აღიარებულია მრწამსად, რომელიც დაცულია ამავე მუხლით. საქმეზე, Arrowsmith v the U.K. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „პაციფიზმი“, როგორც ფილოსოფია, ხვდება აზრის და მრწამსის თავისუფლების უფლების მოქმედების სფეროში. სწორედ ამიტომ, პაციფიზმის დამოკიდებულება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მრწამსი, რაც დაცულია კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით.[52]

თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ მე-9 მუხლი არ ფარავს ნებისმიერ ქმედებას, რომელსაც გარკვეული შეხება აქვს ან მოტივირებულია ცალკეული რელიგიით თუ მიმდევრობით. იმისათვის, რომ ქმედება მოხვდეს მე-9 მუხლის დაცვის არეალში, იგი აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს რომელიმე რელიგიის თუ მიმდევრობის გაცხადებას, გამოვლინებას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე Arrowsimth v. U.K. აღნიშნულ საქმეში განმცადებელი ამტკიცებს მის მიმართ სახელმწიფოს მიერ მე-9 მუხლით

[50] OTTO-PREMINGER-INSTITUT v. AUSTRIA N *13470/87*20 September 1994, #47.

[51] საქმე ევეიდა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (საჩივრები N: 48420/10, 59842/10, 51671/10 და 36516/10. 15 იანვარი 2013, პ. 79.

[52] კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი 2005. გვ. 255.

გარანტირებული უფლების შეზღუდვას. არგუმენტად კი იყენებს იმ ფაქტს, რომ იგი ჩრდილო ირლანდიაში ჯარისკაცთა კონტინგენტისათვის ბროშურების დარიგების გამო დააკავეს. რაც შეეხება ამ ბროშურების შინაარსს, მაში იყო მოწოდება ჯარისკაცების მიმართ, რომ შინაგანი მრწამსის თანახმად, სამხედრო სამსახურის გავლის წინააღმდეგ წასულიყვნენ. ამასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ განმარტა, რომ: ტერმინი „რიტუალის შესრულება“, როგორც ამას განსაზღვრავს კონვენციის მე-9 მუხლი, არ ფარავს ყველა ქმედებას, რომელიც მოტივირებულია რელიგიით ან რწმენით. „ქმედება არ გულისხმობს რიტუალის შესრულებას თუ იგი აშკარად არ გამოხატავს რწმენას, რელიგიას, მიმდევრობას და მხოლოდ და მხოლოდ მოტივირებულია მისით.“[53]

მნიშვნელოვანია ისიც, რომ რელიგიის ან მრწამსის გამოვლინების თავისუფლება არ არის მხოლოდ ინდივიდუალური უფლება, არამედ, ის შეიძლება განხორციელდეს კოლექტიურადაც, რასაც ადასტურებს მე-9 მუხლში მოცემული სიტყვები „სხვებთან ერთად“.

ზოგადად რელიგიის თავისუფლებაში მოიაზრება ადამიანის უფლება, არა მხოლოდ გამოავლინოს თავისი რელიგია და მრწამსი, არამედ ასევე თავი შეიკავოს მისი გამოვლინებისგან. რელიგიის თავისუფლების უფლება მოიცავს, inter alia თავისუფლებას, პირს ჰქონდეს, ან არ ჰქონდეს რელიგიური მრწამსი და იყოს ან არ იყოს რაიმე რელიგიის მიმდევარი.[54]

კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევასთან დაკავშირებით ევროსასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვთ ინდივიდუალურ პირებს, მრევლის სახელით - ეკლესიებს და გაერთიანებებს, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები დაკავშირებულია რელიგიურ საქმიანობასთან.[55]

3.2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება (რაც მოიცავს რწმენის ქონის თავისუფლებას), ღრმა და მრავლისმომცველია: ის მოიცავს აზრის თავისუფლებას ყველა საკითხზე, პირად მრწამს და ინდივიდუალურად თუ სხვებთან ერთად გაცხადებულ რელიგიისა თუ რწმენისადმი ერთგულებას. ამ თავისუფლებების ფუნდამენტური ხასიათი ასევე აისახება იმაში, რომ ამ დებულებებისგან გადახვევა დაუშვებელია თვით ქვეყნის საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, როგორც ეს აღნიშნულია პაქტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში.

---

[53] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-0l--11-en-00---10-ru-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL4.4&d=HASH315ca02c9d1f0f1e2a2c6f.13.8&gt=1 (ნანახია 2019 წლის 1 ივნისს).

[54] კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი 2005. გვ. 253.

[55] ლიჩი ფ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, თბილისი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 2013, გვ. 428.

მე-18 მუხლით დაცულია თეისტური, არათეისტური და ათეისტური რწმენა, ასევე უფლება არ აღიარო რომელიმე რელიგია ან რმწნეა. მოცემული მუხლი არ გამოიყენება მხოლოდ ტრადიციული რელიგიების მიმართ ან ისეთი რელიგიებისა და სარწმუნობების მიმართ, რომლებსაც ტრადიციული რელიგიების მსგავსი ინსტიტუციონალური ნიშან-თვისებები აქვთ. ამიტომ დაუშვებელია სახელმწიფოების მხრიდან ყოველგვარი დისკრიმინაცია რომელიმე რელიგიის თუ რწმენის, იმ მიზეზით რომ ესა თუ ის რელიგია ახალი დაფუძნებულია, ან წარმოადგენს ისეთ რელიგიურ უმცირესობებს, რომლებიც უმრავლესობაში მყოფი რელიგიური თემისგან დევნას განიცდიან. მოცემული მუხლით არავის აქვს უფლება აიძულოს სხვა გაამჟღავნოს მისი რელიგიისა თუ რწმენის კუთვნილება. აღნიშნული ნორმით, ყველას აქვს უფლება რელიგიის შეცვლის, ან საერთოდ ათეისტური შეხედულებების ქონის. სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, არ დაუშვან მორწმუნეებისა თუ არამორწმუნეთა მიმართ ფიზიკური ძალით ან სადამსჯელო ზომებით დამუქრება, რწმენის შეცვლის მოტივით ან უარყოფით. მოცემული აქტი ასევე ხაზს უსვამს რელიგიის თავისუფლებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში და აღნიშნავს, რომ საჯარო განათლება, რომელშიც შედის ამა თუ იმ კონკრეტული რელიგიისა თუ რწმენის სწავლება, შეუთავსებელია ამ პაქტის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტთან, თუ არაა უზრუნველყოფილი არადისკრიმინაციული გამონაკლისები ან ალტერნატივები, რომლებიც ითვალისწინებენ მშობლებისა და მეურვეების სურვილებს.

მოცემული პაქტი სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებას რელიგიისა თუ რწმენის გაცხადების თავისუფლებაზე დააწესონ შეზღუდვები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობის, მორალის ან სხვათა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ასევე დაუშვებელია სახელმწიფოებმა განახორციელონ უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ ამ პაქტით გათვალისწინებული უფლებების არამართლზომიერი შეზღუდვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ამ პაქტით დადგენილი საერთაშორისო სტანდარტები, რადგან ყოველივე ეს ემსახურება დემოკრატიული, სამართლებრივი და პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას.

3.3. სხვა საერთაშორისო აქტები რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით

რელიგიის თავისუფლების განსახორციელებლად სახელმწიფოებისთვის ასევე სახელმძღვანელო თეზისებია მოცემული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ დოკუმენტში „ რელიგიის ან რწმენის ნიშნით შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია“. მოცემულ დოკუმენტში კიდევ ერთხელ არის გაცხადებული ის ძირითადი პრინციპები და ღირებულებები, რომელთა საფუძველზეც უნდა მოქმედებდეს ყოველი სახელმწიფო. მოცემული დეკლარაციის მიხედვით, კიდევ ერთხელ არის აღიარებული, რომ

რელიგია თუ რწმენა იმ ადამიანისთვის, რომელიც რომელიმე მათგანს აღიარებს, სიცოცხლეზე მისი წარმოდგენის ერთ-ერთი ელემენტია, და რომ რელიგიისა თუ რწმენის თავისუფლება სრულად უნდა იყოს დაცული და გარანტირებული. მნიშვნელოვანია, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებებთან დაკავშირებული საკითხების გაგების, შეწყნარებისა და პატივისცემის ხელშეყობა ყოველი ხელისუფლების მხრიდან, რადგან ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა უპატივცემულობამ და დარღვევამ კაცობრიობას პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოუტანა ომები და დიდი ტანჯვა-წამება, განსაკუთრებით იქ, სადაც ყოველივე გამოიყენება სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევისა და ხალხებს, ერებს შორის სიძულვილის გაღვივების საშუალებად. სახელმწიფოები უნდა იყვნენ იმ შეგნებით, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ხელს შეუწყობს მსოფლიო მშვიდობას, სოციალურ თანასწორობას, ხალხთა შორის მეგობრობას და რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

აღნიშნული საერთაშორისო აქტები სახელმწიფოებს განუსაზღვრავენ და აკისრებენ შემდეგ ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებებთან მიმართებით:

1) პატივისცემის ვალდებულება;
2) დაცვის ვალდებულება;
3) აღსრულების ვალდებულება.

IV. რელიგიური ნიშნით განხორციელებული სამართალდარღვევები

4.1. რელიგიური სიძულვილითა და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები

რელიგიისა და სარწმუნოების თავისუფლება ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა ჩვენი სახელმწიფოსთვის. საქართველო, როგორც რელიგიური შემწყნარებლობის დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანა, სამწუხაროდ, ხშირად ფიგურირებს რელიგიის თავისუფლების დარღვევების ამსახველ სხვადასხვა საერთაშორისო მოხსენებებში. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის ყველაზე ძვირფასი უფლებათაგანია და მისი რეალობად ქცევა დღევანდელი დღის იმპერატიული აუცილებლობაა ნებისმიერი ინდივიდისთვის, მიუხედავად მისი რელიგიისა თუ რწმენისა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ“, რომელშიც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი რელიგიის უფლების აზრს, იმას, რომ ეს უფლება მორწმუნეთა ცნობიერებისა და მათი ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ერთ-ერთი სასიცოცხლო ელემენტია.[56]

ყოველი სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის შემწყნარებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბება. სახელმწიფოს აქვს პირდაპირი ვალდებულება დაიცვას საკუთარ ტერიტორიაზე და იურისდიქციის ფარგლებში მყოფი, მათ შორის, არაათეისტური და ათეისტური შეხედულებების მქონე პირების, მკვიდრი მოსახლეობის თუ სხვა უმცირესობების რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გარანტიები. ამ კუთხით, სახელმწიფოს ვალდებულებაა, შექმნას ეფექტური ღონისძიებები, რათა მოახდინოს ამ უფლებების დარღვევის, ერთი მხრივ, პრევენცია, მეორე მხრივ, სანქცირება. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამის ზომები პრევენციისათვის, მათ შორის, ეროვნული კანონმდებლობით უნდა აკრძალონ რელიგიური სიძულვილის საჯარო დემონსტრირება, დისკრიმინაციის წაქეზება, შუღლის ან ძალადობისკენ მოწოდება. ასევე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, აწარმოონ ეფექტური, ობიექტური და დროული გამოძიება, პასუხისგებაში მისცენ დამრღვევები და უზრუნველყონ ადეკვატური კომპენსაცია.

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE) სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს ორი ელემენტით განსაზღვრავს: 1) ესაა სისხლისსამართლებრივი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით; 2) სამართალდამრღვევის განზრახვა დანაშაულის მსხვერპლის მიმართ დაკავშირებულია მსხვერპლის ისეთ მახასიათებელთან, როგორიცაა მისი რასა, ეთნიკური კუთვნილება, რელიგია და სხვა. რელიგიური

[56] ვარდოსანიძე მ., რელიგიის თავისუფლების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბილისი, 2006.

სიძულვილით მოტივირებული სამართლებრივი აქტი (მკვლელობა, წამება, სექსუალური ძალადობა, გატაცება, დამამცირებელი და არაადამიანური ქმედება) შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც სახელმწიფო წარმომადგენლის, ისე კერძო პირთა მიერ და ეფუძნება მსხვერპლის ნამდვილ თუ სავარაუდო რელიგიას, ან მის შესახებ დამრღვევი პირის წარმოდგენას.

აღნიშნული პრობლემა დგას საქათველოშიც. 2018 წელს სახალხო დამცველმა შეისწავლა 19 ფაქტი სავარაუდო რელიგიის ნიშნით ჩადენილი, ეფექტიანად გამოძიების მიზნით. ყველა შემთხვევაში, საქმე ეხებოდა იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას.[57] იეჰოვას მოწმეთა მიმართ გამოვლენილი აგრესია, ძირითადად, გამოიხატებოდა ღვთისმსახურებისას ხელშეშლაში, სტენდების დაზიანებასა და რელიგიური ლიტერატურის განადგურებაში. აღნიშნულ ქმედებებს, ხშირად ახლდა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მსგავსი ფაქტები ხორციელდებოდა როგორც ქუჩაში რელიგიური ლიტერატურისა და ბუკლეტების გავრცელებისას, ისე კარდაკარ სიარულისას. ამასთან, ერთ შემთხვევაში, რუსთავში, ერთ-ერთ ავტოსადგომში, იეჰოვას მოწმეს სხვა ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ბილეთი მიჰყიდეს. განმცხადებლის მითითებით, ავტოსადგურის მოლარემ მას განზრახ მიყიდა ხსვა ბილეთი, რათა იგი დაეტანჯა მისი რელიგიური მრწამსის გამო. გარდა სიტყვიერი შეურაცხყოფისა მოლარემ ასევე სცადა მისი დაზიანება დანით.

აღსანიშნავია, რომ იეჰოვას მოწმეთა მხრიდან საგამოძიებო უწყებათა მიმართ არსებობს კრიტიკა გამოძიების ობიექტურად წარმართვის და გაჭიანურების თაობაზე, კერძოდ, ბრალდებულ/დაზარალებულად ცნობისა და საბოლოო/შემაჯამბელი გადაწყვეტილების მიღების ვადებთან დაკავშირებით. ამასთანავე, ცალკეულ შემთხვევებში, იეჰოვას წარმომადგენლები საუბრობენ პოლიციელთა მხრიდან გულგრილ დამოკიდებულებაზე და აღნიშნავენ, რომ არ მიეწოდებათ ჯეროვანი ინფორმაცია, რომ საგამოძიებო ორგანოები გულისხმიერად არ ეკიდებიან მათთან კომუნიკაციის საკითხს.

2019 წლის 21 ივნისს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოქვეყნა ყოველწლიური ანგარიში საქართველოში რელიგიის თავისუფლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.[58] ანგარიში მიუთითებს ევროპის საბჭოს შეფასებაზე, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ყველაზე მეტად დისკრიმინირებული ჯგუფები არიან იეჰოვას მოწმეები. სწორედ ამ რელიგიური ჯგუფის მიმართ ხდება ყველაზე მეტი რელიგიური შეუწყნარებლობის დანაშაული. ამასთანავე, მიმოხილულია საზოგადოებრივი განწყობებიც და აღნიშნულია, რომ 2018 წლის სექტემბრის მონაცემებით მედიის განვითარების ფონდის მიერ დაფიქსირდა 140-ზე მეტი რელიგიური შეუწყნარებლობის შემთხვევა, როგორც ტელევიზიით, ასევე ონლაინ და ბეჭდურ მედიაში. 90 განცხადება იყო ისლამურფობიური, 35 - მიემართებოდა მუსლიმ მიგრანტებს, 29 განცხადება კი ეხებოდა იეჰოვას მიმდევრებს.

---

[57] სახალხო დამცველის ანგარიში 2018.

[58] დეტალური ანგარიში იხ. აქ: https://www.state.gov/reports/2018-report-on-international-religious-freedom/georgia/.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ყველაზე უფრო მოწყვლად კატეგორიას იეჰოვას მიმდევრები წარმოადგენენ და ხშირად ხდებიან სხვა პირთა მხრიდან აგრესიის მსხვერპლნი, რაც ეწინააღმდეგება პლურალისტური საზოგადოების პრინციპს.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ატარებს გარკვეულ ღონისძიებებს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების დასაცავად, აუცილებელია ბევრად უფრო ეფექტიანი ნაბიჯების განხორციელება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამ უფლებათა ადეკვატური დაცვა, მათი ქმედითობა. სახელმწიფოს მიერ წარმართული ქმედებები უნდა მოიცავდეს რელიგიურ უმცირესობათა შეურაცხყოფის შემთხვევების სათანადო გამოძიებასა და მათზე სწრაფ რეაგირებას.

4.2. სახელმწიფოთა როლი რელიგიური ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა პრევენციისას

ზემოთ განხილული მაგალითების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რელიგიური სიძულვილისა და შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულების ჩადენა, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და სენსიტიური პრობლემაა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ხელს უშლის რელიგიის თავისუფლების როგორც ქმედითობას, ასევე მის სარგებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლება განმტკიცებულია მრავალი საერთაშორისო აქტით და ამასთანავე ეროვნული კანონმდებლობით, მაინც ხშირია მესამე პირთა მხრიდან ამ უფლების ხელყოფა. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება მიიღოს შესაბამისი ზომები და აღკვეთოს მისი არამართლზომიერი შეზღუდვები, ყოველივე ამის განსახორციელებლად კი საჭიროა ძლიერი ბერკეტის შემუშავება, რათა მინიმუმადე შემცირდეს ამ თავისუფლებაში უკანონო ჩარევა. მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სახელმწიფოში მოქმედმა საგამოძიებო ორგანოებმა აღრიცხონ ყოველი დანაშაული, რომელიც მიმართულია რელიგიის თავისუფლების დაკნინებისკენ, აუცილებელია, სწრაფი და ობიექტური რეაგირება აღნიშნულ ფაქტებზე, რათა დამნაშავეებს არ გაუჩნდეთ განცდა დაუსჯელობის, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს დაზარალებულთა შინაგანგანწყობებსა და შიშებზე. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ყველა ნაბიჯი იყოს ქმედითი, პრევენციული ხასიათის მოცემულ საკითხთან მიმართებით და რაც მთავარია გამსჭვალული იმ თანამედროვე სტანდარტების დაცვისა, რომელთა შესრულებაც ეკისრება მას.

იმისთვის, რომ ხელისუფლების ორგანოებმა გაატარონ ეფექტური ღონისძიებები რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი სამართალდარღვევების აღსაკვეთად, რა თქმა უნდა, არაა აუცილებელი ყველა შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ან პასუხისმგებლობის უმკაცრესი ზომის მოთხოვნა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ რელიგიური უმცირესობები ამ ტიპის სამართალდარღვევების სიჭარბეზე მიუთითებენ,

მართებული იქნება სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა საჭირო შემთხვევებში იყოს მკაცრი.

მოცემულ საკითხთან მიმართებაში, საინტერესოა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia, რომელშიც საუბარია გაერთიანების 97 წევრზე განხორციელებულ შეტევაზე ექსტრემისტი მართლმადიდებელი ჯგუფის მხრიდან. ამ ადამიანებზე, მათ შორის, ქალებსა და ბავშვებზე განხორციელდა ძალადობა, მსხვერპლებს აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის დაზიანება. მოსარჩელეები უთითებდნენ, რომ პოლიცია წინასწარ იყო ინფორმირებული სავარაუდო თავდასხმის შესახებ, თუმცა მას ქმედითი პრევენციული ნაბიჯები არ გადაუდგამს. ამასთან მათ არ აღკვეთეს სამართალდამრღვევთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, მათი იდენტიფიცირების მიუხედავად. მოსარჩელეებს არც იმის შესახებ ეცნობათ, რომ გარკვეულ ეტაპზე გამოძიება საერთოდ შეჩერებული იყო, რის გამოც მათ ვერც სასამართლოს მიმართეს. ამ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ და იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არც უარყვია ისინი, ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ მოპასუხე მხარემ დაარღვია როგორც კონვენციის მესამე მუხლი, ასევე მე-9 მუხლით გათვალისწინებული რელიგიისა და რწმენის თავისუფლებიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებები იეჰოვას ყველა მოწმის მიმართ, რელიგიური ჯგუფის პირდაპირი დევნისას, სახელმწიფოს მიერ გამოხატული უმოქმედობისა და ინდიფერენტულობის გამო.

აღნიშნულიდან კიდევ ერთხელ იკვეთება სახელმწიფოთა როლი ასეთი კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას.[59]

გასათვალისწინებელია ასევე, რომ ევროპული სასამართლოს აზრით, როდესაც სახეზე გვაქვს რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციები, ხელისუფლების როლი გამოიხატება არა წარმოქმნილი კონფლიქტის მიზეზის აღმოფხვრაში, არამედ სახელმწიფოს ვალდებულებაში, შექმნას გარანტიები, რის შედეგადაც არსებულ რელიგიურ ჯგუფებს შორის იარსებებს ტოლერანტობა და ურთიერთშემწყნარებლობა.

[59] რელიგიის თავისუფლება, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი, 06/03/2017, სტატია, იხ. აქ: https://emc.org.ge/ka/products/2016-tsels-iehovas-motsmeta-mimart-chadenili-danashaulebis-analizi.

დასკვნა

რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულებაა დემოკრატიული საზოგადოებისა.

დემოკრატიული სახემწიფოები ყველა რელიგიას, რომლებიც ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციით დადგენილ პირობებს იცავენ, იმავე პირობებით განვითარებისა და საზოგადოებაში სათანადო ადგილის დაკავების საშუალებას უნდა აძლევდნენ. თუმცა დემოკრატიულ სახელმწიფოებში ჯერ კიდევ აქვს რელიგიური მიზეზი ბევრ პრობლემას. როგორც აღვნიშნეთ, ხშირად ხდება სხვადასხვა რელიგიური კუთვნილების ჯგუფებს შორის რელიგიური მოტივით ჩადენილი დანაშაულები, სახლმწიფოს სხვადასხვა სფეროში ამ ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებსაც აქვს ადგილი, ასევე მნიშვნელოვანია საკითხი რელიგიური უმცირესობების დაცვასთან დაკავშირებით, რადგან მათ ხშირად ექმნებათ პრობლემა ამ უფლების განხორციელებისას.

მაშინ, როდესაც ქვეყანას სურს ადგილი დაიკავოს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოების წინა რიგებში, აუცილებელია მან ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა სრულად რეალიზებას, ასევე უნდა უზრუნველყოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ვალდებულებების აღსრულება. სახელმწიფოს მოვალეობაა ეროვნულ დონეზე შექმნას უფლების დაცვის ყველა საშუალება, მან უნდა მოახერხოს საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება და ყოველი ქმედების მათთან შესაბამისობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთ მტკივნეულ და სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს არატორერანტული გარემოს არსებობა და ისეთი რელიგიური ჯგუფების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოში უმცირესობას ან არატრადიციული რწმენის მიმდევრებს წარმოადგენენ, არაშემწყნარებლური დამოკიდებულება. რელიგიის თავისუფლების მხოლოდ კანონით განმტკიცება, არაა საკმარისი საზოგადოებაში პლურალისტური და მშვიდობიანი, ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბებისთვის. ამისთვის აუცილებელია აღნიშნული უფლების რეალიზება მოხდეს თითოეული ინდივიდის მიერ, პირველ რიგში, უფლების აღიარებით, და შემდგომ, იმის გათვიცნობიერებით, რომ პატივისცენ სხვათა უფლებებს, არ ხელყონ ისინი, მიუხედავად იმისა, მისაღებია მათთვის თუ არა. ჩვენ შეგვიძლია დასაბამი დავუდოთ დისკრიმინაციისა და რელიგიური შეუწყნარებლობის აღმოფხვრას სხვათა უფლებების პატივისცემით. რელიგიური შემწყნარებლობა მოიცავს სხვა რწმენის მიმდევართა პატივისცემას იმის მიუხედავად, რომ შესაძლებელია, მათი რწმენა არასწორად მიგვაჩნდეს.

ის ფაქტი, რომ რელიგიის თავისუფლება დაცულია საერთაშორისო აქტებით, რომ არაერთი დეკლარაცია და რეკომენდაცია არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განმტკიცებული, კიდევ ერთხელ მიანიშნებს ამ უფლების ღირებულებაზე, საერთაშორისო დონზე მის მნიშვნელობაზე, რაც ძლიერი ბერკეტია ყოველი რელიგიური კუთვნილების წარმომადგენელთათვის, დაიცვან საკუთარი

უფლებები და დაავალდებულონ სახელმწიფოები იმოქმედონ მათი კანონიერი ინტერესების შესაბამისად.

რელიგიური პლურალიზმის მისაღწევად, აუცილებელია რწმენათაშორისი დიალოგებისთვის ხელშეწყობა. აღნიშნული შესაძლებელს გახდის სხვადასხვა რელიგიური საზოგადოებების ურთიერთთანამშრომლობას, ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიური ნიშნით წამოწყებულ კონფლიქტების მოგვარებასა და მშვიდობის დამყარებას.

რელიგიის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებით ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიებს ან რწმენებს შორის. საერთაშორისო სტანდარტები არ შეიცავენ მოთხოვნას სახელმწიფოსა და რელიგიას შორის რომელიმე კონკრეტული სახის ურთიერთობის დამყარების თაობაზე. ერთადერთ საერთაშორისო მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ ნებისმიერი სახის ურთიერთობა არ უნდა იწვევდეს იმ პირთა დისკრიმინაციას, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოფიციალურ ან აღიარებულ რელიგიას. რელიგიის საკითხებში სახელმწიფო უნდა იყოს ნეიტრალური, რაც არ უნდა მივიღოთ, ისე, თითქოს ხდება სახელმწიფოს ისტორიულად აღიარებული და დამკვიდრებული, მოსახელობის უმრავლესობის ეკლესიის როლის დაკნინება. ამ შემთხვევაში, მთავარია, სხვა პირთა რელიგიური უფლებები არ დაირღვეს და დაცულ იქნას თანასწორობის პრინციპი.

არაერთი პრობლემა წარმოიქმნება ურთიერთ უცოდინრობის, აქედან გამოდინარე სტერეოტიპებისა და საბოლოოდ, უარყოფის შედეგად. ყოველივე ამასთან ბრძოლის საუკეთესო გზა კი არის განათლება. სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების პროგრამები უნდა გადაისინჯოს სხვადასხვა რელიგიას შორის უკეთესი ურთიერთგაგების ხელშეწყობის მიზნით. საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიზანშეწონილია რელიგიური განათლება მოიცავდეს რელიგიის ისტორიისა და ეთიკის შესახებ სწავლებას, ამასთანავე, აუცილებელია, სახელმწიფოში, რომელშიც ერთი რომელიმე რელიგიაა დომინანტური, სხვა რელიგიის საფუძვლებიც ისწავლებოდეს. როგორც აღვნიშნე, ბევრი ფაქტი არსებობს საჯარო სკოლებში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის, პროზელიტიზმის და ინდოქტრინაციის, ამიტომ სახელმწიფოს ვალდებულებაა, რელიგიის სწავლების ინტეგრაციისას, განახორციელოს ობიექტური და ნეიტრალური ნაბიჯები, რათა არ მოხდეს როგორც ამ უფლების დარღვევა უმცირესობათა მიმართ, ისე საერთაშორისო ნორმებით დადგენილი პრინციპების უგულებელყოფა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამოდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფომ იმოქმედოს რელიგიის თავისუფლებისთვის გაწერილი თანამედროვე სტანდარტებით, რათა ხელი შეუწყოს დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარებას, პლურალისტური, შემწყნარებლური გარემოს შექმნას. სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ღირებულება, მონაპოვარი ხომ თავისუფალი ადამიანია, რაც პირველ რიგში, გულისხმობს სწორედ უფლებებისა და თავისუფლებების არა მხოლოდ აღიარებას სახელმწიფოს მხრიდან, არამედ მათი სარგებლობისთვის მშვიდობიანი და ეფექტური გარემოს შექმნასაც მოიცავს.

პლურალისტური საზოგადოების მოთხოვნებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე, რელიგიური მრავალფეროვნების პატივისცემა უდავოა და დღევანდელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ამის გამო სახელმწიფოებმა რელიგიური მრავალფეროვნება უნდა მიიღონ არა როგორც საფრთხე, არამედ როგორც სიმდიდრე.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (1950 წლის 4 ნოემბერი).
- გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წლის 10 დეკემბერი).
- საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აგვისტო).
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999 წლის 22 ივლისი).
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009 წლის 9 ოქტომბერი).
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010 წლის 17 სექტემბერი).
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997 წლის 26 ივნისი).
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (1966 წლის 16 დეკემბერი)
- საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (1997 წლის 10 დეკემბერი).
- საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (2000 წლის 5 მაისი).
- საქართველოს „შრომის კოდექსი“ (2010 წლის 17 დეკემბერი).
- განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია (1960 წლის 14 დეკემბერი).
- „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, N 07-3/52/9, ინიცირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი.

სამეცნიერო ლიტერატურა

- ბურდული, ი., გოცირიძე, ე., იზორია ლ., და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ,,პეტიტი“, თბილისი 2013.
- ვაშაყმაძე ზ., „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო“, თბილისი 2015.
- „სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ“, ევროპის საბჭო, 2013.
- კოპალეიშვილი მ., „ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაკტიკა“, თბილისი, 2013.
- ერემაძე ქ., „ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში“, გამომცემლობა GIZ, თბილისი, 2013.
- შარვაშიძე ლ., „რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში“, თბილისი, 2014.
- გეგენავა დ., „ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართელბრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება“, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2018.

- ბეგაძე მ., დელისი ს., ბასილაია თ., „რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა“, 2016.
- რელიგია საჯარო სკოლებში, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი, 2014.
- კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი 2005.
- ლიჩი ფ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, თბილისი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, 2013.
- ვარდოსანიძე მ., რელიგიის თავისუფლების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბილისი, 2006.

სტატიები/ჟურნალები/გამოცემები/კვლევები

- რელიგიის თავისუფლება, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი, 06/03/2017.
- სახალხო დამცველის ანგარიში 2018.
- http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-0l--11-en-00---10-ru-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL4.4&d=HASH315ca02c9d1f0f1e2a2c6f.13.8&gt=1 (ნანახია 2019 წლის 1 ივნისს).
- http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-0l--11-en-00---10-ru-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL4.4&d=HASH315ca02c9d1f0f1e2a2c6f.13.8&gt=1 (ნანახია 25 ივნისს 2019 წელს).
- „რელიგია და დემოკრატია“, ევროსაბჭო, რეკომენდაცია 1396.

სასამართლო გადაწყვეტილებები/განჩინებები

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2011 წლის 22 დეკემბერი, N 1/1/477.
- Sunday Times v. the United Kingdom, Series A, no. 30, 1979/04/26.
- OTTO-PREMINGER-INSTITUT v. AUSTRIA N *13470/87*20 September 1994.
- საქმე ევეიდა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (საჩივრები N: 48420/10, 59842/10, 51671/10 და 36516/10. 15 იანვარი 2013.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2018 წლის 3 ივლისი, N811.